პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

12 იანვარი
კვირა
1969
ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი

№ 10 (14310)

ლენინურ ვახტაზე
ხუთწლედი — ვადამდე

ქარხანა ფართოვდება

თბილისის ქარხანა „ელექტროგამშვებში“, დამთავრდა ახალი კორპუსის მშენებლობა, სადაც მოთავსდება წარმოების ძირითადი უბნები. კორპუსში დაიდგმება თანამედროვე ტექნიკა, ასაწყობი კონვეიერების ჩარხების მოხერხებული განლაგება დადებით გავლენას მოახდენს ტექნიკურ-ეკონომიურ მაჩვენებლებზე.

გასული წელი ქარხანამ წარმატებით დაამთავრა. მექანიზმების აწყობის კონვეიერიზაციამ მეოთხედით გაზარდა შრომის ნაყოფიერება და გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი. შეჯიბრებაში წარმოების კულტურის ამაღლებისათვის ქარხანამ ერთ-ერთი წამყვანი ადგილი დაიკავა ჩვენი ქვეყნის მონათესავე საწარმოთა შორის.

საწარმოში 90 პროცენტი ახალგაზრდა მუშაა. მათთვის აქ შექმნილია ტექნიკური და ეკონომიური მომზადების სკოლა. მეცადინეობას ხელმძღვანელობენ სპეციალისტები და ნოვატორი მუშები.

საწარმოს კოლექტივმა, რომელიც მუშაობს დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემის პირობებში, აღმოფხვრა ბევრი ნაკლი. დადებითად გადაიჭრა რეალიზაციის პრობლემა, რასაც ხელი შეუწყო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებამ.

დიდი ამოცანები უნდა გადაჭრას კოლექტივმა ხუთწლედის მეოთხე წელს. წინა წელთან შედარებით პროგრამა მნიშვნელოვნად გაზრდილია. წარმოების მუშაკებმა ვალდებულება იკისრეს ვადამდე შეასრულონ იგი. (საქდესი).

სოფლის კულტურის კერები

სოფელი დღეს ის აღარ არის, რაც ამ რამდენიმე წლის წინათ იყო. ის ახლა უფრო დოვლათიანი და ღონიერია. მატერიალური კეთილდღეობის კვალობაზე იზრდება სოფლის მშრომელთა კულტურა, მდიდრდება მათი სულიერი ცხოვრება.

დღეს მშრომელ კაცს მარტო მატერიალური უზრუნველყოფა აღარ აკმაყოფილებს. ის უკვე მეტ სიკეთეზე ფიქრობს. სურს უფრო კარგი, ლამაზი და მიმზიდველი იყოს მისი სოფელი, ამშვენებდეს მას კარგი გზები, ხეივნები, პარკები, კლუბები, ბიბლიოთეკები, რათა ნაყოფიერი შრომის შემდეგ ადამიანს შესაძლებლობა ჰქონდეს შინაარსიანად გაატაროს თავისუფალი დრო, გაერთოს, დაისვენოს, გაიმდიდროს ცოდნა, გაეცნოს მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ მიღწევებს, სურს იცოდეს ჩვენი დიდი სამშობლოს საშინაო და საგარეო ცხოვრების არსი, ყველა საინტერესო მოვლენა, ამბავი, პერსპექტივა.

სოფლის მშრომელთა შინაარსიანი დასვენების, გართობის, მათი სულიერი ცხოვრების დაკმაყოფილების საქმეში განსაკუთრებით დიდი როლი აკისრიათ სოფლის კულტურის კერებს. ისინი მოწოდებული არიან მტკიცედ ამოუდგნენ მხარში პარტიულ ორგანიზაციებს სოფლის მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში, ყოველმხრივ დაეხმარონ მათ საზოგადოებრივი შრომითი აქტივობის ამაღლებაში.

ამ ამოცანის შესრულებას სოფლის კულტურის კერები მხოლოდ მაშინ შეძლებენ, თუ მუშაობას ისე მოაწყობენ, რომ მშრომელთა სასურველ თავშეყრის ადგილებად გადაიქცევიან. ადამიანს მაშინ მიუხარია კულტურის სახლში, კლუბში, როცა იქ შინაარსიანი დასვენება ელის — კონცერტი, წარმოდგენა, საინტერესო ლექცია, სხვადასხვა სპორტული გართობა.

სოფლის კულტურის კერები თავიანთ მოღვაწეობას მხოლოდ ვიწრო კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობით არ უნდა ფარგლავდნენ. ამავე დროს ისინი უნდა იჩენდნენ ინიციატივას ისეთ მნიშვნელოვან საქმეში, როგორიც არის ზრუნვა სოფლის კეთილმოწყობაზე, მისი კულტურის ამაღლებაზე, მშრომელთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესებაზე.

მიმდინარე წელი კიდევ უფრო ბევრ რამეს ავალებს კულტურის კერებს. მიმდინარეობს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის საყოველთაო-სახალხო მზადება. კულტურის კერებმა ფართოდ უნდა გაშალონ ამ მიმართულებით მუშაობა, რათა მშრომელთა ფართო მასებმა შემოქმედებითად შეისწავლონ ლენინის იდეურ-თეორიული მემკვიდრეობა, ღრმად შეიგნონ ჩვენი პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკა — ლენინიზმი მოქმედებაში.

რედაქციაში მრავალი წერილი მოდის იმის შესახებ, რომ რესპუბლიკის რაიონებისა და სოფლების კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში სულ უფრო ფართოვდება შემოქმედებითი მუშაობა, იზრდება მშრომელთა ნაკადი კულტურის კერებში.

ამ მიმართულებით მისაბაძ მაგალითს იძლევა ზესტაფონის რაიონულ კულტურის სახლთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. აქ მუშაობა მჭიდროდ დაუკავშირეს ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადებას. ანსამბლმა 1968 წელს დიდი წარმატებით ჩაატარა კონცერტები მოსკოვში სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე. სანიმუშოდ არის დაყენებული საქმე სარაიონო ბიბლიოთეკაშიც. აქ მოწყობილია მდიდარი გამოფენა, რომელიც ცდილობს ასახოს დიდი ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა, სისტემატურად იმართება საინტერესო ლექციები და საუბრები, მკითხველთა კონფერენციები.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ცხაკაიას რაიონულ კულტურის სახლთან არსებული სახალხო თეატრი, რომელმაც საკავშირო ფესტივალზე პირველი დიპლომი დაიმსახურა. თეატრმა 1967-1968 წლის სეზონში განახორციელა 100 სპექტაკლი, რომლებმაც მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა. ასევე ნაყოფიერად მუშაობს კულტურის სახლთან არსებული აგიტმხატვრული ბრიგადა, რომელმაც შარშან 120 კონცერტი გამართა.

საინტერესო მუშაობას ეწევა თერჯოლის რაიონული ბიბლიოთეკა. აქ შედგენილი აქვთ მოსახლეობის კარტოთეკა დიფერენცირებული საბიბლიოთეკო მომსახურებისათვის. მისაბაძია გურჯაანის რაიონის ველისციხის ბიბლიოთეკის მუშაობა. აქ მონდომებით ამზადებენ ზეპირ ჟურნალს თემაზე: „ასეთი იყო დიდი ლენინი“. ჟურნალის მომზადებაში აქტიურად მონაწილეობენ სოფლის ინტელიგენცია, მოსწავლე ახალგაზრდობა.

აღნიშნული რაიონების კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები კარგად რომ მუშაობენ, ეს იმის შედეგიც არის, რომ პარტიის რაიონული კომიტეტები, რაისაბჭოს აღმასკომები ხშირად განიხილავენ ამ დაწესებულებების მუშაობის საკითხს, სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს მუშაობის კიდევ უკეთ წარმართვისათვის.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ყველგან როდი ექცევა სათანადო ყურადღება ამ დაწესებულებების მუშაობას. სწორედ ამის შედეგია ის, რომ ბევრგან კულტურის სახლები, კლუბები, ბიბლიოთეკები სრულ უმოქმედობას იჩენენ.

გარდაბნის რაიონულმა კულტურის სახლმა მუშაობა მთლად ჩაშალა. აქ არ კითხულობენ ლექციებს, მოხსენებებს, არ მიმდინარეობს არავითარი მასობრივ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა, წრეები ხომ აქ დიდი ხანია არ არსებობს. ეს იმ დროს, როცა კულტურის სახლს დამაკმაყოფილებელი მატერიალური ბაზა აქვს.

არასახარბიელო მდგომარეობაა თელავის რაიონულ კულტურის სახლშიც. ამ კულტურის კერის მესვეურთა უყურადღებობით მუშაობა ჩაშლილია. აქ იყო კინომოყვარულთა წრე, რომელმაც კარგი ფილმის შექმნისათვის ორი წლის წინათ ქება დაიმსახურა, ახლა კი სუსტი ხელმძღვანელობის შედეგად სრულ უმოქმედობას იჩენს. სუსტია კულტურის სახლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც.

რესპუბლიკის რაიონებისა და სოფლების ზოგიერთი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების სუსტი მუშაობა იმითაც არის გამოწვეული, რომ ნაკლებ ყურადღებას აქცევენ კადრების შერჩევას. ზოგჯერ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ხელმძღვანელებად ხვდებიან შეუფერებელი ადამიანები, რომელთაც ამ საქმისათვის არც ცოდნა გააჩნიათ და არც მონდომება აქვთ.

ჩვენი რესპუბლიკის რაიონებსა და სოფლებში კულტურულ-მასობრივი მუშაობის გაშლა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, რადგან ყოველ სოფელში დიდი რაოდენობით გვყავს ინტელიგენცია, რომელიც ხალისით ჩაებმება თვითმოქმედ წრეებში, წაიკითხავს საინტერესო ლექციას, ჩაებმება ყოველგვარ კულტურულ ღონისძიებებში. მთავარია ძირეული პარტიული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ კულტურულ-მასობრივ მუშაობას სოფლად და ინტელიგენციისა და ახალგაზრდობის მთელი ძალები დარაზმონ კულტურული ცხოვრების უკეთ მოწყობისათვის.

თვითეული საბჭოთა ადამიანი, სადაც უნდა მუშაობდეს და იღწვოდეს იგი, ცდილობს თავისი ბეჯითი შრომით ამრავლოს დიდება სამშობლოსი, რომელიც ემზადება ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების ასი წლისთავის იუბილესათვის.

ღირსეული საჩუქრები სამშობლოს! — ასეთია ჩვენი რესპუბლიკის საწარმოთა მუშების სიტყვა და საქმე.

კარგი შრომითი მაჩვენებლებით ხვდება შორაპნის ქარხანა „ელექტროელემენტის“ კოლექტივი დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

სურათზე: მარცხნივ რელეს საამქრო. მარჯვნივ რელეს საამქროს ტექნიკური კონტროლიორი აზა მუმლაძე ამოწმებს ამწყობი ზეინკლის ციალა ჩინჩალაძის მიერ დამზადებულ პროდუქციას.

ფოტო ა. ჩარკვიანისა.

რეფორმის სიკეთე

სოხუმი. (საკ. კორ.). მაღალნაყოფიერად იშრომა ხუთწლედის მესამე წელს თამბაქოს კომბინატის (დირექტორი ლ. ჭვარანძია) კოლექტივმა, რომელმაც ვადამდე 125 პროცენტით გაანაღდა პროდუქციის რეალიზაციის წლიური დავალება. მეთამბაქოეებმა გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 62,7 მილიონი ცალი სიგარეტი, 223 ათასი ცალი პაპიროსი, 17 ტონა ფერმენტირებული თამბაქო, 150 ათასი მანეთით შეამცირეს პროდუქციის თვითღირებულება.

ახალ სამეურნეო რეფორმაზე გადასვლამ დიდი სიკეთე მისცა საწარმოს. მარტო გასული წლის 10 თვეში აქ ხელფასისა და მატერიალური წახალისების ფონდიდან პრემიის სახით გაცემულია 36 ათასი მანეთი.

ამჟამად კომბინატის კოლექტივი იმისათვის იბრძვის, რომ ხუთწლედის მეოთხე წლის დავალება ყველა მაჩვენებლით 25 დეკემბრისათვის გაანაღდოს.

ვ. კიკვიძის ხსოვნის აღსანიშნავად

დაბა კიკვიძე (ვოლგოგრადის ოლქი), 10 იანვარი. (საკდესი). 50 წლის წინათ ხუტორ ზუბრილოვთან (ახლა დაბა კიკვიძე) გამართულ ბრძოლებში დაიღუპა სამოქალაქო ომის გმირი, ყოფილი მე-16 მსროლელი დივიზიის მეთაური ვ. ი. კიკვიძე.

ვოლგოგრადელები წმიდად ინახავენ ლეგენდარული დივიზიის მეთაურის ხსოვნას. მისი სახელი უწოდეს რაიონს, საბჭოთა მეურნეობას, კოლმეურნეობასა და საშუალო სკოლას. დღეს კიკვიძის რაიონულ ცენტრში დივიზიის მეთაურის ძეგლთან გაიმართა მიტინგი. ძეგლის კვარცხლბეკი გვირგვინებით შეამკეს.

მზიური საქართველოს ცეკვები

10 იანვარს კრემლის ყრილობათა სასახლეში სცენაზე გამეფდა ხალისიანი რიტმები და ნატიფი ცეკვა. საქართველოს სსრ ხალხური ცეკვის ანსამბლი სსრ კავშირის სახალხო არტისტების ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით, რომელიც დიდხანს იყო საგასტროლოდ ლათინურ ამერიკაში, კვლავ შეხვდა მოსკოველებს.

პოპულარული კოლექტივის მსახიობებმა დედაქალაქში პირველად უჩვენეს ქორეოგრაფიული ნოველები ციკლიდან „ძველი თბილისი“, მგზნებარე ცეკვა „მოხევური“ და საიუბილეო სიუიტა „მოსავლის დღესასწაული“. კვლავ დიდი წარმატება ხვდა წილად მეომართა უძველეს ცეკვას „ხორუმს“, ახალგაზრდულ ცეკვა-თამაშს „ლელოსა“ და ქალთა ლირიკულ ცეკვას „სამაიას“, რომელიც ძველი ფრესკის მოტივებზეა შექმნილი.

ამ ცოტა ხნის წინათ ანსამბლმა აღნიშნა 20 წლის იუბილე. ამ ხნის მანძილზე კოლექტივი საგასტროლოდ იყო მსოფლიოს თითქმის ორმოც ქვეყანაში. ახლა ქართველი მოცეკვავეები ემზადებიან ახალი დიდი საგასტროლო მოგზაურობისათვის. (საკდესის კორ.).

არის ცისფერი გზა!

სამარყანდი, 11 იანვარი. (საკდესის კორ.). სამარყანდის ოლქის 42 ათას ჰექტარ ბამბის პლანტაციებს მიაწვდის წყალს მიანკალის ცენტრალური არხი — პირველი საირიგაციო ობიექტი, რომლის მშენებლობა წელს დამთავრდა უზბეკეთში. დღეს ტრასიდან წავიდა მექანიზმები, რომლებიც გადავიდა აკ-კარადარიის გამყოფი ჰიდროკვანძის მშენებლობაზე. ეს ჰიდროკვანძი შენდება ზარაფშანზე, საიდანაც მომრწყავი მიიღებს წყალს. აკ-კარადარიის კვანძი მეოთხეა ამ მდინარეზე. მომავალ წელს აკ-კარადარიის საირიგაციო კვანძი გაბატონდება მდინარეზე. იგი შეცვლის ას წვრილ წყალგამყოფ ნაგებობას, რომლებიც მრავალი წლის წინათ აშენდა.

სკკპ დელეგაციის ვიზიტი ჩეხოსლოვაკიაში

1968 წლის 27 დეკემბრიდან 1969 წლის 10 იანვრამდე ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიწვევით ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში იმყოფებოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის კ. თ. კატუშევის მეთაურობით.

გამოცდილების გაზიარების ტრადიციის შესაბამისად დელეგაცია ეცნობოდა ცენტრალური და ადგილობრივი პარტიული ორგანოების მუშაობას, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ორგანიზაციათა საქმიანობას ქარხნებში, სახელმწიფო მეურნეობებსა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში, ჩეხოსლოვაკიაში დელეგაციის ყოფნის დროს შეთანხმებული იყო პარტიათშორისი ურთიერთობის გეგმა, მათ შორის ოლქების, რაიონებისა და ცალკეული საწარმოების დელეგაციებისა და პარტიულ მუშაკთა ჯგუფების გაცვლა, გამოითქვა მოსაზრებანი შესაბამისი საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანამშრომლობის შემდგომი გაფართოების შესახებ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია მიიღეს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. დუბჩეკმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ლ. სვობოდამ, ჩეხოსლოვაკიის მთავრობის თავმჯდომარემ ო. ჩერნიკმა. დელეგაცია შეხვდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელ მოღვაწეებს.

დელეგაცია იყო პრაღაში, აგრეთვე სლოვაკიის დედაქალაქ ბრატისლავაში, ეწვია ოსტრავას, ბრნოს, კოშიცეს, პლზენს, გრადეც-კრალოვესა და მთელ რიგ სხვა ქალაქებს, იყო სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, სასწავლებლებში, შეხვდა მუშებს, გლეხებს, ინტელიგენციის წარმომადგენლებს, პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, პარტიულ აქტივსა და ახალგაზრდული მოძრაობის წარმომადგენლებს.

საუბრების დროს მოხდა გულახდილი ამხანაგური აზრთა გაცვლა და მუშაობის გამოცდილების გაზიარება მრავალ საკითხზე, რომლებიც ეხება პარტიულ მშენებლობას, კომპარტიათა ხელმძღვანელი როლის განხორციელებას სოციალისტური საზოგადოების ცხოვრებაში, იდეურ-პოლიტიკურ მუშაობას მასებთან, საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ურთიერთობის განვითარებასა და განმტკიცებას.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის ყოფნა ჩეხოსლოვაკიაში სასარგებლო იყო. აზრთა ფართო გაზიარება, რაც ორივე კომუნისტური პარტიის ტრადიციული ამხანაგური ურთიერთობის განგრძობაა, ხელს უწყობს ორივე ქვეყნის ხალხთა მეგობრობის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებას მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციამ და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის მოღვაწეებმა დაადასტურეს, რომ საჭიროა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების, მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის მჭიდრო ერთიანობა სოციალიზმისა და მშვიდობის ინტერესებისათვის.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა დარბაზობა გამართა

პრაღა, 10 იანვარი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ლუდვიკ სვობოდამ დღეს მიიღო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის კ. თ. კატუშევის მეთაურობით, რომელიც აქ იმყოფება ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით. დელეგაციას ახლდა სსრ კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში ს. ვ. ჩერვონენკო.

მეგობრულ საუბარში დელეგაციის წევრებმა რესპუბლიკის პრეზიდენტს გაუზიარეს შთაბეჭდილებანი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში ყოფნის შესახებ.

სკკპ დელეგაცია დაბრუნდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკიდან

10 იანვარს პრაღიდან მოსკოვში დაბრუნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის კ. თ. კატუშევის მეთაურობით, რომელიც ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიწვევით სტუმრად იყო ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში.

ფურცლები ბელადის ცხოვრებიდან

ლენინგრადი, 10 იანვარი. (საკდესის კორ.). დღეს ლენინგრადში დაიწყო მეცნიერულ-დოკუმენტური ფილმების ჩვენება რევოლუციის ბელადის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, გამოჩენილ ბოლშევიკ-ლენინელთა შესახებ. კინოლენინიანის შექმნაში მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა სტუდია, მაყურებლები გაეცნობიან კერძოდ, ლენინგრადელ კინემატოგრაფისტთა ნამუშევრებს რევოლუციური ბრძოლის გზაზე ვ. ი. ლენინის დადგომის შესახებ — „ვლადიმერ ულიანოვი“ და „პეტერბურგის წლები“, ილიჩის ოქტომბრისშემდგომ პერიოდში მოღვაწეობის შესახებ — „საბჭოების სახელმწიფოს სათავეში“.

საფესტივალო აფიშაშია აგრეთვე ფილმები „პუტილოველი მუშის მოგონებანი“, „მოთხრობა პარტიის მეორე ყრილობაზე“, „შორეულ შუშენსკოეში“ და სხვ.

ჩვენი დიადი სამშობლო

ლოპოტის მარმარილო

თელავი. (საკ. კორ.). შორს გაითქვა სახელი ლოპოტის მარმარილომ. პლანეტის ყველა კუთხიდან მოდის მადლობის წერილები თელავის ფიქალ-მარმარილოს კომბინატის სახელზე.

საწარმოო სიმძლავრეების გაზრდით, ახალი ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვით გამრჯე კოლექტივი პირველ გამარჯვებებს იმკის. აქ გადაწყვიტეს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში წლიური გეგმის შესრულება სამშობლოს 20 დღით ადრე უპატაკონ.

რაციონალიზატორთა წვლილი

ტყიბული. (საკ. კორ.). ორჯონიკიძის სახელობის შახტის წარმატებებში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს რაციონალიზატორებმა. უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე მათ 67 რაციონალიზატორული წინადადება შემოიტანეს. აქედან დაინერგა 36 წინადადება. მათი დანერგვით ეკონომიის ფონდში გადაირიცხა 115.379 მანეთი. ყველაზე ეფექტური ის წინადადებებია, რომელთა ავტორები არიან შ. ჭოხონელიძე, ნ. ბოჭორიშვილი, მ. გეწაძე და გ. მომცემლიძე. მარტო ამ ოთხმა წინადადებამ შახტს 30 ათას მანეთზე მეტი წლიური პირობითი ეკონომია მისცა.

შახტში განთქმული რაციონალიზატორები არიან მექანიკოსები ი. ქაჯარავა და ა. ცხადაძე, ელექტროზეინკალი ს. ცირეკიძე, ელდეპოს უფროსი შ. ჯვებაძე, მთავარი მარქშეიდერი ლ. ბებია, ზეინკალი ო. ტოფაძე.

„ვენერა-6“-მა ალმა-ატას გადაუარა

ყაზახმა მეცნიერებმა მაღალი ხარისხის ფოტოსურათები გადაუღეს საბჭოთა ავტომატურ საპლანეტათშორისო სადგურ „ვენერა-6“-ს.

ისევე როგორც წინათ სადგურს — „ვენერა-5“-ს, ყაზახეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ასტროფიზიკური ინსტიტუტის მთის ობსერვატორიიდან მეცნიერები აკვირდებოდნენ სპეციალური სატელევიზიო მოწყობილობით აღჭურვილი ტელესკოპის საშუალებით. ობსერვატორია მდებარეობს პლატოზე ილისიმიერი ალათაუს მთებში 1.500 მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

„ვენერა-6“-ს ფოტოსურათებს უღებდნენ ტელევიზორის ეკრანიდან მას შემდეგ, რაც გამოჩნდა ყაზახეთის დედაქალაქის თავზე, როცა დედამიწიდან იმყოფებოდა დაახლოებით 100 ათას კილომეტრზე, და სანამ ჰორიზონტს მოეფარებოდა.

ო. ოგნევი,
საკდესის კორ.

საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის ენერგიულად ემზადებიან საგარეჯოს რაიონში. იწმინდება თესლი, მზადდება ტექნიკა.

სურათებზე: ზემოთ — მეთესლეობის სახელმწიფო ინსპექციის უფროსი თამარ ქვლივიძე (ცენტრში), აგრონომ-მეთოდისტი ზინაიდა ანუაშვილი (მარჯვნივ) და აგრონომ-ინსპექტორი ეკატერინე სულიკაშვილი მზესუმზირას გაღივების ამოთვლის დროს. ქვემოთ — საქსოფლტექნიკის საგარეჯოს განყოფილების ბრიგადირი გიგა დარბაისელი (ცენტრში) თავის მდიდარ გამოცდილებას გადასცემს ტრაქტორისტებს ლადო კუპატაძეს (მარჯვნივ) და სულიკო კუხიანაშვილს.



ფოტო ვ. ყუშიტაშვილისა.

გაზაფხულისათვის ამთავითვე უნდა ვიზრუნოთ

ჯანსაღი ტექნიკა — გაზაფხულს!

კასპი. („კომუნისტის“ კორ.). ჯანსაღი ტექნიკა გაზაფხულს — ამ დევიზით შრომობენ ზამთრის დღეებში „საქსოფლტექნიკის“ კასპის რაიონული განყოფილების (მმართველი ა. კაჭარავა) მექანიზატორები. სარემონტო სახელოსნოში ზეინკლები, ხარატები ტრაქტორების, სათესი მანქანების, გუთნების შეკეთებაზე მუშაობენ. 95 ტრაქტორის ნაცვლად რემონტი გაუკეთდა 97 ტრაქტორს. ასევე გადაჭარბებით შესრულდა კომბაინების, ავტომანქანების რემონტის დავალება. რბილ ხვნაზე გადაყვანით სატრაქტორო სამუშაოები შესრულდა 180.000 ჰექტარზე ნაცვლად 164.000 ჰექტარისა. სახელოსნოს 20.000 მანეთი მოგება აქვს.

რაიონში კარგი მუშაობით გამოირჩევა სარემონტო სახელოსნოში მომუშავე ხარატი შ. ელიკაშვილი. იგი ორ ათეულ წელზე მეტია, რაც ხარატად მუშაობს, და ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ მის მიერ შეკეთებულ ტრაქტორზე ვინმეს საყვედური გამოეთქვას. იგი ახლაც ტრაქტორის რემონტის დღიურ დავალებას გადამეტებით ასრულებს.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის „საქსოფლტექნიკის“ ბოლნისის რაიონული განყოფილების მექანიზატორებმა უკანასკნელ სამ წელიწადში 8-ჯერ მოიპოვეს საკავშირო და რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშები და პირველი ფულადი პრემიები.

საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის ტექნიკის დროზე მოსამზადებლად გაჩაღებულ შეჯიბრებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სიღნაღელმა მექანიზატორებმა. მათი პირობა იყო ტრაქტორების რემონტის გასული წლის მეოთხე კვარტალის გეგმა შეესრულებინათ ვადაზე 5 დღით ადრე. პირობა სასახელოდ გაანაღდეს, 67 ტრაქტორის ნაცვლად რემონტი გაუკეთეს 75 ტრაქტორს.

ზამთრის დღეებია, მაგრამ სარემონტო სახელოსნოებში შრომა არ წყდება. სიღნაღელ მექანიზატორთა გადაწყვეტილებაა საგაზაფხულო ხვნა-თესვის დაწყებას ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ, ტრაქტორებისა და სათესი მანქანების რემონტის მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა 10 მარტამდე შეასრულონ.

ბოლნისის რაიონის მხვნელ-მთესველები კარგად ემზადებიან საგაზაფხულო თესვისათვის. „საქსოფლტექნიკის“ რაიონული განყოფილების მექანიზატორებს გასული წლის მეოთხე კვარტალში უნდა შეეკეთებინათ 120 ტრაქტორი, ფაქტიურად მზად აქვთ 132 ტრაქტორი.

დავაჩქაროთ თესლის მომზადება

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთი ძირითადი რეზერვია მაღალხარისხოვანი თესლი. ეს კარგად ესმით წითელწყაროს რაიონის მხვნელ-მთესველებს, და ამიტომ არის, რომ საგაზაფხულო თავთავიანი და პარკოსანი კულტურების თესლი უკვე აქვთ 1.231 ცენტნერი ნაცვლად 1.156 ცენტნერისა.

ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობების მიხედვით, სიმინდის თესლი გეგმაზე მეტი აქვთ გურჯაანის, თელავის, ახმეტის, ყვარლის, ლაგოდეხის, გარდაბნის, მცხეთის, თეთრი წყაროს, სამტრედიის, ვანის, საჩხერის, ორჯონიკიძის, ონის, ამბროლაურის, ცაგერის, ლენტეხის, ცხაკაიას, გეგეჭკორის, ზუგდიდის, ხობის, წალენჯიხის, მახარაძის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, მესტიის, ასპინძის, გორის და სხვა რაიონებს, ჭიათურას და ტყიბულს.

თესლის მომზადებისათვის მუშაობის ტემპი უნდა გააძლიერონ დმანისის, თიანეთის, ბოლნისის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მხვნელ-მთესველებმა.

თესლის მომზადების საქმე ყურადღების ცენტრში უნდა დააყენონ ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებმა.

შ. ჭოჭუა.

ლენინის შუქი ჩვენს პლანეტაზე

100

სირია

მიიღეთ ჩვენი სიყვარული, ილიჩ!

ვდგავარ მსოფლიოში ყველაზე განთქმულ მოედანზე — წითელ მოედანზე. ამ მოედანს უნახავს, როგორ დადგა სოციალიზმის გარიჟრაჟი, იგი მოწმე იყო ჰიტლერიზმზე გამარჯვებისა და კოსმოსური სივრცის დამპყრობთა სასიხარულო დღესასწაულისა. ყველას გული, ვინც სოციალიზმის გამარჯვებას — კაცობრიობის ამ სანუკვარ ოცნებას ესწრაფვის, მის გულთან შეთანხმებულად ძგერს.

ადამიანთა უსასრულო კოლონაში ვდგავარ, რომ ლენინს შევხვდე.

ნაბიჯ-ნაბიჯ, დაფიქრებულნი, მდუმარედ, ნელა მიიწევენ წინ ადამიანები. რამდენიმე წამის შემდეგ დავინახავთ ლენინს — ადამიანს, რომელმაც სასწაული მოახდინა. ადამიანს, სათავეში რომ ჩაუდგა ოქტომბრის რევოლუციას, რომელმაც ისტორიაში პირველად მოსპო ექსპლოატაცია პლანეტის ყველაზე დიდ ქვეყანაში. ადამიანს, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა სახელმწიფოს — მსოფლიოში პირველ სოციალიზმის ქვეყანას.

აი იგი — ლენინი! ვლადიმერ ილიას-ძე მშვიდია. თითქოს ისვენებს ძნელი მუშაობის შემდეგ.

რაღაც წამით შევჩერდი და მაშინვე ვიგრძენი რბილი შეხება უკანიდან, რამაც წინ წამწია, — ადამიანები, ჩემს უკან რომ მოდიან, მოუთმენელნი არიან, ლენინთან შეხვედრას ელიან.

მოვიხედე, რომ უკანასკნელად შემევლო თვალი იმისათვის, ვისაც ყველაზე მეტი გაუკეთებია კაცობრიობის ბედნიერების მოსაპოვებლად. უკანასკნელად შევხედე და ვიგრძენი, თვალები ცრემლით რომ ამევსო...

მავზოლეუმიდან რომ გამოვედი, გავიფიქრე: „აი ჭეშმარიტი სიდიადე! სიდიადე უბრალოებისა, სიდიადე შეუპოვარი შრომისა, სიდიადე სხვების გულისათვის თავდავიწყებისა, სიდიადე გამჭრიახი გონებისა და შეუდრეკელი ნებისყოფისა“. მივდიოდი და ვფიქრობდი იმაზე, რომ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მხოლოდ ორმოცდათერთმეტი წელი გავიდა, კაცობრიობამ კი ამ ხნის მანძილზე ისეთი ცვლილებები განიცადა, როგორიც ათასწლეულებს არ ახსოვს.

და ჩემს გულში მივმართავ ლენინს:

„ვლადიმერ ილიას-ძევ, რომ შეგეძლოთ ახლა დაინახოთ, როგორ გადაიქცა თქვენ მიერ დარგული ყლორტი მძლავრ ხედ, რომელმაც ღრმად გაიდგა ფესვები მიწაში! მას ვერ შეარყევს ვერავითარი ქარიშხალი, მის ტოტებს ვერ გალუნავს ვერავითარი გრიგალი. რომ დაგენახვათ თქვენი დიადი საბჭოთა ქვეყანა — ხალხთა ბურჯი და კაცობრიობის იმედი, ქვეყანა, რომელიც თქვენ გიყვარდათ და რომლის ხალხთა სიდიადე ესოდენ გჯეროდათ! რომ დაგენახათ, როგორ გაანადგურა მან ფაშიზმი და როგორ ეხმარება ყველა ხალხს, რომლებიც თავისუფლებასა და ღირსებას იცავენ, რომ დაგენახვათ, როგორ შეძლო მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით შეიარაღებულმა პატარა ვიეტნამელმა ხალხმა მოეგერიებინა ყველაზე დიდი იმპერიალისტური ქვეყანა — ამერიკის შეერთებული შტატები! რომ შეგეძლოთ ვლადიმერ ილიას-ძევ, დაინახოთ, როგორ დაუდო სათავე თქვენმა ქვეყანამ კოსმოსის ხანას და როგორ გაეშურნენ თქვენი ქვეყნის მოქალაქენი სხვა პლანეტებისაკენ! რომ დაგენახვათ, როგორ აღდგნენ და განთავისუფლებას მიაღწიეს აზიისა და აფრიკის ხალხებმა, როგორ დაადგა ბევრი მათგანი თავისუფლებისათვის ბრძოლის გზას, რომელიც თქვენ გაკაფეთ და რომელიც შეუძლებელი იქნებოდა, საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები რომ არ არსებობდნენ! რომ შეგეძლოთ დაინახოთ, რა ზემოქმედებას ახდენენ თქვენი იდეები სირიის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, ალჟირის ხალხებზე, რომლებმაც არაკაპიტალისტური განვითარების გზა აირჩიეს და წინ მიდიან სოციალიზმისაკენ!

ვლადიმერ ილიას-ძევ, თქვენ გახდით ყოველივე იმ საუკეთესოს სიმბოლო, რაც კი ჩემს თანამედროვეთა გონებასა და გულშია. თქვენ შეხვედით ყოველ პატიოსან სახლში, ყოველ ღია გულში, იმიტომ რომ თქვენ ყველა ჩვენგანისათვის ცხოვრობდით და არა თავისთვის. თქვენ ფიქრობდით ხალხთა ბედზე და ცალკეულ ადამიანზე, მაგრამ საკუთარი დასვენება და ჯანმრთელობა გავიწყდებოდათ. საბჭოთა მთავრობის მეთაური რომ იყავით, თქვენ უარს ამბობდით ერთი ნამცეცით მეტი პური შეგეჭამათ, ვიდრე ყოველ სხვა თქვენს ამხანაგს იმპერიალისტური ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის, იმ შიმშილობის წლებში.

გლეხები და მუშები მოდიოდნენ თქვენთან კრემლში, გხვდებოდნენ, მსჯელობდნენ ყველა იმ საკითხზე, რომლებიც მათ აღელვებდათ, იმიტომ რომ გრძნობდნენ, იცოდნენ, თქვენ ყველაზე ერთგული მათი მეგობარი რომ იყავით.

თქვენი სიდიადე საჩვენებელ ზარზეიმურობასა და გარეგნულ ბრჭყვიალში როდი იყო. იგი მდგომარეობდა არაჩვეულებრივად ბრძნულ უბრალოებაში, რომლის სათავეა სული — ღრმა, როგორც ზღვა, და ადამიანისადმი უსაზღვრო სიყვარულით აღსავსე. თქვენი სახელი ყველგან და ყოველთვის უნერგავდა ადამიანებს პატივისცემასა და სიყვარულს იმიტომაც, რომ თქვენ მტრებისადმი ულმობელი იყავით. ადამიანთა დიდი და უსაზღვრო სიყვარულის მოხვეჭა მხოლოდ იმ ადამიანს შეუძლია, რომელიც გამსჭვალულია მწვავე სიძულვილით იმათდამი, ვინც ადამიანის ღირსებას თელავს.

საიდ ხაურანი,
სირიელი მწერალი.

ჩეხოსლოვაკია

ბულგარეთი

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა. ვ. ი. ლენინის მუზეუმი ბრატისლავაში. მნახველები მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ქანდაკებასთან, რომელიც დადგმულია ექსპოზიციის დასაწყისში.

ფოტო ჩტკ-საკდესისა.

ბულგარეთი. სოფიელი მხატვარი ნენკო ბოიაჯიევი ამჟამად ვ. ი. ლენინის პორტრეტზე მუშაობს.

ფოტო ბტა-საკდესისა.

შეუნელებელი ინტერესი

იაპონია

თეატრალური რამპის შუქის რბილი ანარეკლი, მაყურებელთა ჩაფიქრებული სახეები. კიდევ წამი, და დარბაზში ტაშმა იგრიალა — სცენაზე გამოჩნდა ლენინი. ეს მომენტი დაახსომდა ყველას, ვინც ესწრებოდა სპექტაკლ „კრემლის კურანტებს“ მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის ამასწინანდელი გასტროლების დროს ტოკიოში. იაპონელები ტაშს უკრავდნენ „ცოცხალ“ ლენინს, რომელსაც კარგად იცნობენ ფოტოსურათებით, კინოფილმებით და, რა თქმა უნდა, მისი ნაწარმოებებით.

ლენინის სახელი იაპონიაში ცნობილი გახდა უკვე 1904-1905 წლებში, ხოლო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ მალე გაჩნდა მის ნაწარმოებთა პირველი თარგმანებიც იაპონურ ენაზე. 1921-დან 1937 წლამდე იაპონიაში გამოიცა 215 ლენინური ნაშრომი. სამხედრო-საიმპერატორო სისტემის მკაცრ პირობებში იმ დროის მოწინავე ადამიანები სწავლობდნენ ეცხოვრათ და ებრძოლათ ლენინურად.

იაპონიის დედაქალაქის ერთ-ერთ ქუჩაბანდზე დგას პატარა შენობა მოკრძალებული აბრით „ოცუკი სიოტენი“. ეს პროგრესული სპეციალიზებული გამომცემლობაა. 1953 წელს იგი იაპონიაში პირველად შეუდგა ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემას, რომლის უკანასკნელისწინა, 45-ე ტომი 1969 წლის გაზაფხულზე გამოვა. „დღეისათვის ჩვენ გამოვუშვით ლენინის თხზულებათა სრული კრებულის ტომების 1 მილიონ ეგზემპლარზე მეტი, ამბობს „ოცუკი სიოტენის“ მმართველი კობაიასი — პრაქტიკულად მთელი ტირაჟი უკვე გაიყიდა“. მან გვიამბო, რომ, გარდა თხზულებათა სრული კრებულისა, „ოცუკი სიოტენი“ უშვებს ვ. ი. ლენინის რჩეულ თხზულებათა სამ კრებულს — 12, 9 და 7 ტომად, აგრეთვე 55 დასახელების წიგნებს ლენინის ცალკეული ნაშრომებით.

იაპონიაში ყველაზე მეტჯერ და ყველაზე დიდი ტირაჟით გამოიცა ლენინის ორი ნაშრომი — „სახელმწიფო და რევოლუცია“ და „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“. პრაქტიკულად შეუძლებელია გამოვარკვიოთ ვ. ი. ლენინის ყველა იმ ნაწარმოებთა საერთო ტირაჟი, რომლებიც იაპონიაში გამოიცა. მარტო გამომცემლობა „ოცუკი სიოტენმა“ გამოუშვა სამ მილიონამდე ეგზემპლარი წიგნი ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებით. იაპონურ ენაზე გამოცემული ვ. ი. ლენინის შრომები შეიძლება შეიძინო დედაქალაქის სოლიდურ წიგნის უნივერმაღებშიც „მარუძენსა“ და „კინოკუნიაში“ და ქვეყნის თითქმის ყველა მსხვილი დასახლებული პუნქტის წიგნის პატარა მაღაზიებშიც.

ლენინის წიგნები თაროებზე როდი რჩება. „როგორია მყიდველთა შემადგენლობა?“ — ვეკითხებით მაღაზიის მუშაკებს. „უაღრესად მრავალფეროვანი, — გვიპასუხებენ ისინი, — მაგრამ მეტწილად ესენი არიან ახალგაზრდა მუშები 20-30 წლის ასაკისა და სტუდენტები“.

ლენინის ნაშრომები ფართოდ წარმოდგენილია იაპონიის ბიბლიოთეკებშიც. ტოკიოში პარლამენტის ბიბლიოთეკაში გვიჩვენეს იაპონურ ენაზე გამოცემულ საბჭოთა ავტორების იმ ნაწარმოებთა სქელტანიანი კატალოგი, რომლებიც ამ ბიბლიოთეკაშია. მარტო იმისათვის, რომ ჩამოთვალო ვ. ი. ლენინის ყოველნაირი გამოცემები, საჭირო იქნებოდა ათობით გვერდი. ლენინის ნაშრომები, მათ შორის თხზულებათა სრული კრებულიც, არის ყველა საქალაქო ბიბლიოთეკაში, უნივერსიტეტების, კოლეჯების და ბევრი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ბიბლიოთეკებშიც.

მილიონობით იაპონელი კითხულობს და სწავლობს ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებს, მათში პოულობს გასაღებს თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი პრობლემების გაგებისათვის. სწორედ ამიტომ ისინი კვლავ და კვლავ მიმართავენ ლენინური მემკვიდრეობის ფასდაუდებელ განძს.

ვ. რახოვეცკი,
საკდესის კორესპონდენტი.

ტოკიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნიშვნელოვანი ექსპერიმენტი კოსმოსში

უცხოეთის გამოხმაურება „ვენერა-6“-ის გაშვების გამო

პარიზი, 11 იანვარი. (საკდესი). ავტომატური საპლანეტათშორისო სადგური „ვენერა-6“-ის გაშვებამ საბჭოთა კავშირში მიიპყრო პარიზის ყველა გაზეთის ყურადღება და მეტწილმა გაზეთებმა კომენტირებული ცნობები მიუძღვნეს ამ მოვლენას. დიდი სათაურით — „ვენერა-6“ — პლანეტა ვენერას ატმოსფეროს დეტალური შესწავლის მეორე ლაბორატორიაა, — „ლუმანიტე“ ბეჭდავს თავისი მოსკოველი კორესპონდენტის მაქს ლეონის ცნობას.

„ვენერას ტყუპებს“ უწოდებს ამ საიდუმლო პლანეტისაკენ მიმავალ ორ საბჭოთა ავტომატურ საპლანეტათშორისო სადგურს გაზეთი „პარიჟური“. გაზეთი აღნიშნავს, რომ თუ წარმატებით შესრულდა პროგრამა, რომლის შესაბამისად ორივე სადგური რბილად უნდა დაეშვას ატმოსფეროში ვენერას ღამის მხარეზე, „პრაქტიკულად საეჭვოც აღარ იქნება, რომ პლანეტამ უნდა გამოამჟღავნოს თავისი მთავარი საიდუმლოებანი“.

გაზეთი „ფიგარო“ ბეჭდავს ერვე პონშელეს სტატიას, რომელშიც აღნიშნულია, რომ ავტომატური სადგურების დაწყვილებული ფრენა ვენერასაკენ პირველად არ განხორციელებულა, კერძოდ, სადგურები „ვენერა-2“ და „ვენერა-3“ შესაბამისად გაუშვეს 1965 წლის 12 და 16 ნოემბერს. ე. პონშელე აღნიშნავს აგრეთვე, რომ ორი ახალი სადგურის მომზადების დროს საბჭოთა მეცნიერებმა გამოიყენეს ამ ტიპის სადგურების წინა ფრენის მონაცემები.

ულან-ბატორი, 11 იანვარი. **საბჭოთა კავშირი, რომელიც გრანდიოზულ კოსმოსურ გმირობას სჩადის, ხელმძღვანელობს მშვიდობისა და კაცობრიობის პროგრესის ინტერესებით, განაცხადა ულან-ბატორის რადიომ, როცა გადმოსცა ცნობა საბჭოთა ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურის „ვენერა-6“-ის გაშვების შესახებ.**

ახალი საბჭოთა ავტომატური სადგურის გაშვებამ პლანეტა ვენერასაკენ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მონღოლეთის საზოგადოებრიობაზე. ჩვენი ქვეყნის მშრომელები, აღნიშნა რადიომ, მხურვალედ ულოცავენ, და აღფრთოვანებას გამოხატავენ ნიჭიერი საბჭოთა მეცნიერებისა და ინჟინრებისადმი.

ბერლინი, 11 იანვარი. (საკდესი). „სტარტი აიღო საბჭოთა სადგურმა „ვენერა-6“-მა; „ვენერა-5“ კოსმოსურ სივრცეში“; „ვენერაზე ვიზიტად წავიდნენ ტყუპი სადგურები“, — ასეთი სათაურებით არის აჭრელებული გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გაზეთები.

გაზეთები აქვეყნებენ ვრცელ მონაცემებს ახალი საბჭოთა ექსპერიმენტის შესახებ. ცნობებში ხაზგასმულია, რომ ფრენის მიზანია ვენერას უფრო სრულად შესწავლა და მის შესახებ მეტი მოცულობის მეცნიერული ინფორმაციის მიღება.

„ნოიეს დოიჩლანდი“ განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ ახალი საბჭოთა საპლანეტათშორისო სადგური მაისის შუა რიცხვებში რბილად უნდა დაჯდეს ატმოსფეროში ვენერას ღამის მხარეზე. ორი ავტომატური სადგურის ერთობლივი ფრენა, წერს გაზეთი, შექმნის შესაძლებლობას სხვადასხვა ადგილას გამოიკვლიონ ვენერას ატმოსფეროს ხასიათი.

„ბერლინერ ცაიტუნგი“ აღნიშნავს, რომ ორივე საბჭოთა სადგურის საბორტო აპარატურა ნორმალურად მუშაობს და სადგურები წარმატებით ასრულებენ თავიანთ ამოცანებს.

ბუქარესტი, 11 იანვარი. (საკდესი). გაზეთი „სკინტეია“ იუწყება, რომ გაუშვეს ახალი საბჭოთა საპლანეტათშორისო ავტომატური სადგური და ხაზს უსვამს, რომ მისი გაშვების მიზანია ვენერას უფრო სრული შესწავლა და ამ პლანეტის შესახებ მეტი მოცულობის სამეცნიერო ინფორმაციის მიღება.

„ვენერა-6“-ის გაშვებას იუწყება აგრეთვე რუმინეთის ყველა სხვა გაზეთი, რომლებიც ამასთან აღნიშნავენ, რომ ახალი ავტომატური სადგური შექმნის შესაძლებლობას განსაზღვრონ ატმოსფეროს პარამეტრები ამ პლანეტის სხვადასხვა ნაწილში და, რომ სადგურზე არის ვიმპელები ვ. ი. ლენინის ბარელიეფითა და სსრ კავშირის სახელმწიფო გერბით.

სოფია, 11 იანვარი. (საკდესი). „კიდევ ერთი საბჭოთა სადგური კოსმოსურ ტრასაზე“; „მეექვსე სტარტი ვენერასაკენ“; „ახალი ნაბიჯი კოსმოსის კვლევის გზაზე“, — ასეთი სათაურებით აქვეყნებენ ბულგარეთის გაზეთები ცნობას საბჭოთა ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურის „ვენერა-6-“ის გაშვების შესახებ.

ვარსკვლავები თავიანთ საიდუმლოებას უმჟღავნებენ ადამიანს, ხაზგასმით აღნიშნავს „რაბოტნიჩესკო დელო“. ორი „ვენერა“ შევა შორეული პლანეტის ატმოსფეროში. უდავოა, რომ ეს ექსპერიმენტი ახალი შენაწევრი იქნება მომავალი საპლანეტათშორისო ფრენის გზაზე.

ვარშავა. **პოლონეთის პრესა დღეს ვრცელ ინფორმაციას ბეჭდავს ახალი საბჭოთა კოსმოსური ექსპერიმენტის—ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურის „ვენერა-6“-ის გაშვების შესახებ. „ტრიბუნა ლუდუ“ წერს, რომ „ვენერას“ სერიის ორი ავტომატური სადგურის გაშვება კოსმოსური კვლევის საბჭოთა პროგრამის დიდმნიშვნელოვანი რგოლია.**

კოსმოსური კვლევის ხანმოკლე ისტორიაში, წერს პოლონეთის სხვა გაზეთის „ჟიჩე ვარშავის“ მიმომხილველი, არ ყოფილა შემთხვევა, რომ დროის ასეთ მოკლე მონაკვეთში საბჭოთა კავშირს გაეშვას საპლანეტათშორისო სადგურები. ორი სადგურის გაშვება ექსპერიმენტის წარმატების დიდ გარანტიას გვაძლევს და ამავე დროს ქმნის შესაძლებლობას შევადაროთ მიღებული მონაცემები,

შეშფოთება ვაშინგტონში

ვაშინგტონი, 11 იანვარი. (საკდესი). შვეციის მთავრობის გადაწყვეტილებამ დიპლომატიურად ცნოს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა სერიოზულად შეაშფოთა ოფიციალური ვაშინგტონი, რასაც მოწმობს სახელმწიფო დეპარტამენტის რეაგირება.

სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა პრესის საკითხებში რ. მაკლოსკიმ გუშინდელ პრეს-კონფერენციაზე აღნიშნა, რომ „შვეციის მთავრობას უფლება აქვს მიიღოს საკუთარი გადაწყვეტილებანი“, მაგრამ ამავე დროს შეეცადა ჩრდილი მიეყენებინა ამ გადაწყვეტილებისათვის. „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, —განაცხადა მან, — არ მიაჩნია, რომ ეს გადაწყვეტილება ხელს შეუწყობს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მშვიდობის საქმეს“.

მაკლოსკიმ უკმაყოფილება გამოთქვა აგრეთვე იმის გამო, რომ ამჟამად შვეციამ თავშესაფარი მისცა 155 ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეს, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალებიდან გაიქცნენ ვაშინგტონის სავიეტნამო პოლიტიკის პროტესტის ნიშნად.

ემზადებიან მანევრებისათვის

ბონი, 11 იანვარი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიაში განლაგებული ამერიკის შეერთებული შტატების ჯარების სარდლობა ზრდის შეიარაღებულ ძალებს, რომლებიც 29 იანვრიდან 4 თებერვლამდე მონაწილეობას მიიღებენ მანევრებში „რეფორჯერ-1“. ეს უდიდესი სამხედრო დემონსტრაცია გაიმართება გრაფენვერის პოლიგონზე ჩეხოსლოვაკიის საზღვრის მახლობლად.

მაშინ, როცა მაინის ფრანკფურტის მახლობლად რაინ-მაინის სამხედრო-საჰაერო ბაზაში ეშვება გიგანტური სატრანსპორტო თვითმფრინავები, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩამოჰყავთ მოტომექანიზებული ნაწილების პირადი შემადგენლობა და ჩამოაქვთ სამხედრო აღჭურვილობა, მანჰაიმის, კაიზერსლაუტერნისა და კარლსრუეს რაიონის სამხედრო საწყობებიდან უკვე დაიწყო საომარი ტექნიკის გაგზავნა ჩეხოსლოვაკიის საზღვრებთან. ეს გადაზიდვა ხდება რკინიგზებითა და გზატკეცილებით.

მანევრების მზადების ინსპექციისთვის დასავლეთ გერმანიაში ჩამოვიდა ამერიკის არმიის შტაბის უფროსი გენერალი უესტმორლენდი, რომელიც წინათ ვიეტნამში მოქმედი ამერიკის ჯარების მთავარსარდალი იყო. უესტმორლენდმა დაათვალიერა ქვეგანაყოფები ჰანაუს რაიონში, აგრეთვე იყო ერთ-ერთ პოლიგონზე, სადაც უჩვენეს სხვადასხვა იარაღი.

მხოლოდ ფაქტები

● **რომი,** 11 იანვარი. (საკდესი). დამთავრდა იტალიის პროლეტარული ერთობის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა აირჩია პოლიტბიურო, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ პარტიის პოლიტიკური მდივანი ტ. ვეკიეტი, მდივნის მოადგილე დ. ვალორი, აგრეთვე ვ. ფოა, ვ. გატო და დ. ჩერავოლო.

● **კაირო, 11 იანვარი. (საკდესი). აქ დამთავრდა რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის საკითხთა საერთაშორისო ორგანიზაციის ადმინისტრაციული საბჭოს 41-ე სესია, რომელიც 8 იანვრიდან მიმდინარეობდა.**

სესიის მონაწილეებმა განიხილეს ორგანიზაციის საქმიანობა გასულ წელს, მოიწონეს მისი 1969 წლის ბიუჯეტი და ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა შემდგომ გაფართოვდეს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის საკითხთა საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი ქვეყნების თანამშრომლობა რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის დარგში.

ამერიკელ კოსმონავტთა პრეს-კონფერენცია

ვაშინგტონი, 10 იანვარი. (საკდესი). **გუშინ აქ გაიმართა სამი ამერიკელი კოსმონავტის — ფ. ბორმანის, უ. ანდერსისა და ჯ. ლოველის პირველი პრეს-კონფერენცია, რომლებმაც გასული წლის დეკემბერში ხომალდ „აპოლონ-8“-ით განახორციელეს ფრენა დედამიწა-მთვარე-დედამიწის ტრასით.** კოსმონავტებმა ილაპარაკეს, თუ როგორც მიმდინარეობდა ფრენა, რა სიძნელეებს წააწყდნენ, აგრეთვე ჟურნალისტებს გაუზიარეს შთაბეჭდილებანი მთვარის შესახებ. კოსმონავტებმა თქვეს, რომ მთვარის ზედაპირზე წყლის, ცხოველთა თუ მცენარეთა სიცოცხლის ნიშან-წყალიც კი ვერ შეამჩნიეს.

პრეს-კონფერენციაზე ნაჩვენები იყო მთვარის ზედაპირის ფერადი ფოტოსურათები, რომლებიც კოსმონავტებმა გადაიღეს. თუმცა ზოგიერთ ფოტოსურათზე შესამჩნევია მწვანე და იისფერი წერტილები, კოსმონავტებმა ხაზი გაუსვეს, რომ მთვარე „შავ-თეთრი სამყაროა“. ამასთან უილიამ ანდერსმა თქვა, რომ მთვარის ზედაპირი პრაქტიკულად უფერულია, მონაცრისფრო, მოშავო შეფერილობისაა და ოდნავ დაჰკრავს ყავისფერი ელფერი.

კოსმონავტებმა გამოთქვეს აზრი, რომ მთვარის კრატერების წარმოქმნის მიზეზი შეიძლება იყოს როგორც ვულკანური მოქმედება, ასევე მეტეორიტთა ცვენა. იმის დასადასტურებლად, რომ მთვარის კრატერების წარმოშობის ორივე კონცეფცია შეიძლება სწორი იყოს, ანდერსმა ხუმრობით თქვა: „მთვარის ზედაპირზე იმდენი ნახვრეტია, რომ ეყოფა ორივე თეორიის დასადასტურებლად“.

კოსმონავტებმა დამსწრეთ გაუზიარეს მთვარის უხილავი მხრიდან ვარსკვლავებზე დაკვირვების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებანი. მათი თქმით, იქ ვარსკვლავები „არ ციმციმებენ“.

შეეხო რა „აპოლონ-8“-ის წყალზე დაშვებას, კოსმოსური ხომალდის მეთაურმა ფრენკ ბორმანმა თქვა, დაშვება იმდენად „მაგარი“ იყო, რომ სავენტილაციო მილებიდან ხომალდში ორ ლიტრამდე წყალი მოხვდა და ერთ წუთს ეკიპაჟის წევრებს მოეჩვენათ ვიხრჩობითო.

პრეს-კონფერენციაზე გამოაცხადეს, რომ ბორმანი აღარ გაფრინდება კოსმოსში. იგი დანიშნეს ამერიკის შეერთებული შტატების აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს პილოტირებული ფრენისადმი კონტროლის სამსახურის დირექტორის მოადგილედ.

სირხანის გასამართლება

ნიუ-იორკი, 11 იანვარი. (საკდესი). **დახურულ დარბაზში ხანგრძლივი სხდომების შემდეგ ლოსანჯელესის სასამართლომ, რომელიც არჩევს სენატორ რ. კენედის მკვლელობის საქმეს, სამი დღის შესვენება გამოაცხადა.**

სასამართლოს სხდომები დაიწყება ორშაბათს მსაჯულთა ჟიურის შემადგენლობის არჩევის პროცედურით, რაც ამერიკის სასამართლოში საკმაოდ გაჭიანურებული საქმეა. ამ შემთხვევაში ვარაუდობენ, რომ თორმეტი მსაჯულისა და ექვსი მოადგილის არჩევას სულ ცოტა სამ კვირას მოანდომებენ.

◆

ჩინელ დიპლომატთა თავხედობა

რომი, 11 იანვარი. (საკდესი). **გაზეთმა „მესაჯერომ“ გამოაქვეყნა თავისი პრაღელი კორესპონდენტის ინფორმაცია, რომელშიც ნათქვამია, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლები ჩეხოსლოვაკიაში „აჩაღებენ გაძლიერებულ ანტისაბჭოთა კამპანიას“. მაგალითად, „კულტურის საღამოების“ სახით ისინი ჩინეთის პრაღის საელჩოში უშვებენ ფილმებს, რომელთა მიზანია „რაც შეიძლება ცუდად უჩვენონ საბჭოთა ადამიანები“. ვარაუდობენ, წერს გაზეთი, რომ პეკინი ამ მიზნებისათვის იყენებს, კერძოდ, მასალებს დასავლეთის ფილმებიდან.**

◆

აფეთქება ამერიკის საელჩოსთან

ნიუ-იორკი, 11 იანვარი. (საკდესი). ბოლივიის დედაქალაქ ლა-პასში ამერიკის საელჩოს ტერიტორიაზე აფეთქდა ბომბი, რის შედეგად მინები ჩაიმსხვრა ელჩის რეზიდენციაში. როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტო იტყობინება, ბომბი მიმავალი ავტომანქანიდან ისროლეს.

ხელისუფლები აწარმოებენ გამოძიებას.

ქვეყნები და წესჩვეულებები

ლებუს საიდუმლოება

● „ბინგო“, დაკარი

ამ სტატიის ავტორი დაკარის უნივერსიტეტის სოციოლოგი უსმან სილა დიდი სიყვარულით აღწერს თავისი ხალხის ადათწესებს, რომლებიც შემორჩენილია უძველესი დროიდან. მათი რელიგიური ბარსის იქით იგი ხედავს გარკვეულ ეთიკურ და კულტურულ ფასეულობას.

ლებუს ტომი მწვანე კონცხის ნახევარკუნძულის სანაპიროზე ცხოვრობს. მისი თვალწარმტაცი სოფლები გარს შემორტყმიან სენეგალის სანაპიროს და ახალ დაკარს — სენეგალის დედაქალაქს, რომელიც მნიშვნელოვანი საერთაშორისო გზების გზაჯვარედინზე მდებარეობს.

მამაკაცების, ნაწილობრივ ქალებისაც, მუდმივი საქმიანობაა თევზჭერა და მეორე რიგში სოფლის მეურნეობა — მიწის თხილისა და ბოსტნეულის მოყვანა.

მიუხედავად იმისა, რომ ლებუს უმრავლესობა ისლამს აღიარებს, მათთან შემორჩენილია გაცილებით უძველესი გადმონაშთები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ მათს ყოფაცხოვრებაზე. ეს კულტები მთლიანად ქალების „განკარგულებაშია“.

წარსულის სახეები

ყოველწლიურად კლანის ან სოფლის წევრები ასრულებენ თავიანთი უძველესი ღმერთებისათვის შეწირვის რიტუალს. ამ წესჩვეულებას ქურუმი ქალები ხელმძღვანელობენ. გალობენ წინაპართა სულებისადმი მიძღვნილ საგალობლებს. სწორედ ამის წყალობით გახდა შესაძლებელი ტომის ისტორიაში ჩახედვა. ლებუს რელიგიური წესჩვეულებები იმის საშუალებას ქმნიან, რომ აღადგინონ ტომის ისტორიული წარსულის, მისი წინაპრების ცხოვრების წესის ზოგიერთი დეტალი.

მათ, ვინც წინაპრების კულტს აღიარებს, სწამთ ამულეტები — „მაგიური“ თვისებების მქონე საგნები. ხშირად მათ არასწორად ფეტიშებს უწოდებენ. ქურუმ ქალს ემსახურება კურთხეულ ქალთა ჯგუფი. ამ ღვთის მსახურთა დანიშნულებაა შეარიგონ ოკულტური სამყარო ადამიანთა მოდგმასთან. გარკვეული ტექნიკის მეოხებით ისინი საინტერესო შედეგებს აღწევენ.

ლებუს რელიგიური წესჩვეულებები იწყება წინაპრებისადმი ვედრებით კვირადღის ღამით. გალობას თან სდევს ტამტამების რიტმული ცემა.

ლებუს სარწმუნოების თანახმად, მათი წინაპრების სულები ცხოვრობენ სანგომარაზე — ეს არის კონცხი ატლანტიკის სანაპიროზე, მდინარე სენეგალის შესართავის სამხრეთით.

რამდენიმე თავგადასავლის შემდეგ სანგომარას მივაღწიეთ. მე თან მახლდნენ ფოტოგრაფი — მუსლიმანი და გამცილებელი.

წინაპრების სულებისადმი თაყვანისცემა გამოიხატება ცეკვით. მას ხელმძღვანელობს ქურუმი ქალი. რომელიც ამავე დროს ექიმბაშის მოვალეობას ასრულებს. ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან „სნეულის მკურნალობა“ სულებისადმი თაყვანისცემის საერთო რიტუალის განუყოფელი ნაწილია.

ქურუმი ქალი სნეულისა და მომსახურე ქალების თანხლებით იწყებს ცეკვას. ამ დროს იგი ქვეყნის ოთხივე მხარეს მიაპყრობს თვალს და შელოცვის სიტყვებს ბუტბუტებს. იგი ცეკვავს, მიწაზე შემოხაზული წრის შიგნით — ნელი, მოსრიალე ნაბიჯებით მოძრაობს. მისი ცეკვა დიდხანს არ გრძელდება. ცოტა ხნის შემდეგ მაყურებელთა მთელი გუნდი იწყებს გალობასა და ცეკვას. წესჩვეულების ეს პირველი ფაზა ჩვეულებრივ შუაღამემდე გრძელდება. რაც უფრო მაღალია ხალხის რელიგიური ექსტაზი, მით უფრო კმაყოფილია ქურუმი ქალი. იგი აცხადებს, რომ სულებმა მისი შელოცვა ისმინეს. შემდეგ იგი ამბობს, რომ მისთვის ცნობილია, თუ რომელი სული „ჩასახლდა“ მისი პაციენტის სხეულში.

პანტომიმა და შელოცვა

სრულდება მსხვერპლის შეწირვა. სამსხვერპლო ცხოველს და ავადმყოფს აფარებენ საბანს. ამას აკეთებენ მოხუცები, რომლებიც ამით აჩვენებენ თავიანთ მზადყოფნას გაიზიარონ პაციენტის მწუხარება და ტკივილები. ისინი ავადმყოფის გარშემო ცეკვავენ მანამდე, სანამ იგი საბნისაგან არ განთავისუფლდება — ეს იმის ნიშანია, რომ საგალობელი სწორად იქნა შერჩეული და კეთილმა სულებმა ბოროტ სულებს სძლიეს.

თუ მსხვერპლის შეწირვა სახლში ხდება, მაშინ თეთრ ქსოვილში გახვეული ავადმყოფი შვიდჯერ შემოუვლის შეკრულ თხას გარშემო, სამჯერ გადააბიჯებს მას და მსხვერპლისაკენ პირით მიბრუნებული ჯდება მზის ქვეშ.

მსახურნი ავადმყოფს თავს უსველებენ დაკლული ცხოველის სისხლით. ამის შემდეგ მან რამდენიმე დღეს თავი არ უნდა დაიბანოს. ცხოველის ხორცს მსახურთა შორის ანაწილებენ ან კოლექტიურად ჭამენ, ალბათ ეს თანამონაწილეობის მიზნით, ვინაიდან მსხვერპლი ცოდვების პატიებას ნიშნავს.

შემდეგ სრულდება პანტომიმები. ერთ-ერთ მაყურებელ ქალს დაეუფლება ბოროტი სული. იგი იწყებს ცეკვას და ჟესტიკულაციას. მისი მოძრაობის მიხედვით ქურუმმა ქალმა უნდა გამოიცნოს, თუ რომელი სულია: ლომისა, ძაღლისა, გიჟისა, მუცელმერთისა და ა. შ. ქურუმის მიერ სულის გამოცნობა ნიშნავს, რომ სული მოკვდა.

წინაპრებისადმი ახალი მოწოდებით სულები ეუფლებიან ახალ მსხვერპლს. ერთ-ერთი ქალი მიწაზეა გართხმული. იგი განუწყვეტლივ როკავს მთელი სხეულით. რამდენიმე მსახურს, გარს რომ ახვევიან, ქალი ფეხებით უჭირავს და სამკაულებს აცლიან. ჯადოქარი მას მაწონს აჭმევს, მანამდე კი თავის თანაშემწეებს სთავაზობს. ავადმყოფი მაშინვე მშვიდდება.

მთელი ცერემონია დაახლოებით სამ დღეს გრძელდება. უნდა გამოვტყდე, რომ გამიძნელდა იმის გარკვევა, თუ სად იწყებოდა და სად მთავრდებოდა ცნობიერებისა და ქვეცნობიერების სფერო, სად იყო სერიოზულობა და სად თამაში. მოქმედი პირნი ან მორწმუნენი, ხშირად ისე მოქმედებენ, როგორც თეატრში. ამასთან მათს პანტომიმებს, უეჭველად, აზის რელიგიური ფანატიზმის დაღი. რომლის წყალობითაც ჯადოქრები და მოგვები ინარჩუნებენ თავიანთ ძალაუფლებას თანატომელთა შორის.

ზოგიერთ წესჩვეულებათა დადებითი მხარე, ჩვენი აზრით, ის არის, რომ ისინი ავითარებენ კოლექტივიზმის გრძნობას, რაც ლებუს ტომს ეხმარებოდა სტიქიურ უბედურებათაგან მამაცურად თავის დაღწევაში.

აი როგორ ხდება წვიმისა და ნათესების ღმერთებისადმი თაყვანისცემა. დღის ორი საათისათვის ახალგაზრდა ქალები „წმინდა ხის“ მახლობლად იკრიბებიან და თეთრ ხარს კლავენ. ხორცს ხარშავენ. შემდეგ ეწყობა კოლექტიური სადილი, რომლის მსვლელობაში იმართება ცეკვები. გალობენ წინაპრებისადმი მიძღვნილ საგალობლებს.

ამ ქალებს, მამაკაცის შარვლები ან ქურთუკები რომ აცვიათ, თავზე გაკეთებული აქვთ ხარის გრძელი რქები, რომლებიც დანით არის დასერილი და შეწირული ხარის სისხლით მოსვრილი.

პროცესია ქურუმი ქალის მეთაურობით მოძრაობს ტამტამების რიტმულ ხმაურში: „წმიდა ხესთან“ ქურუმი ქალი ორაკულს სთხოვს უპასუხოს, თუ რა მოელით მათ ამ ზამთარს. შემდეგ იწყება ცეკვები. რიტუალი შეიძლება სამ საათზე მეტ ხანს გაგრძელდეს.

ერთი შეხედვით ასეთ წესჩვეულებათა და რწმენათა მეოცე საუკუნის მესამოცდაათე წლებში არსებობა გაოცებას იწვევს. მიუხედავად ამისა, ტრადიციული კულტები ხშირად ხელს უწყობენ საზოგადოებრივი შეგნების გაღვიძებას და მნიშვნელოვან სოციალურ ფუნქციას ასრულებენ. მათი მეშვეობით ლებუს ტომი ინარჩუნებს გარკვეულ მორალურ კრიტერიუმს. მათი წესჩვეულებები, რომლებშიც უხვად არის მხატვრულობის ელემენტები, ტომის ერთიანობის იდეას ემორჩილებიან. გარდა ამისა, კულტთა უმრავლესობას ადამიანური სახე აქვს და ტომის ეთიკურ წესებს შეესაბამება.

რაც შეეხება ლებუს ექიმბაშთა „ფსიქოთერაპიას“, მის მიზანს შეადგენს, როგორც თვით ლებუ ამბობს, ადამიანის „ფიზიკური და ფსიქიკური გაჯანსაღება“. ლებუს ტომის წევრები ამტკიცებენ, რომ დასარტყმელი ინსტრუმენტების რიტმი, ცეკვები და სიმღერები აღადგენენ ადამიანის ნერვულ წონასწორობას. რითაც ხელს უწყობენ ცხოვრებასთან მთელი ეთნიკური ჯგუფის უფრო მჭიდროდ დაკავშირებას. როგორც უნდა იყოს, ლებუს რელიგიური წესჩვეულებები უთუოდ სერიოზული შესწავლის ღირსია.

კომუნისტი
მე-2 გვერდი, კვირა,
12 იანვარი, 1969 წ.

დივიზიის უფროსის ვ. ი. კიკვიძის დაღუპვის 50 წლისთავის გამო

არწივი

ვასილ კიკვიძე! — ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს კიდით კიდემდე ძნელად თუ იპოვნით მოზრდილ ადამიანს, რა ეროვნებისაც უნდა იყოს იგი, რომ ეუცხოოს ეს ქართული გვარი. მოზრდილ ადამიანსო, ვამბობთ, მაგრამ ცოტას როდი შევხვდებით ჩვენს ბედნიერ ბავშვებში ისეთ ცეროდენებსაც, გატაცებით რომ თამაშობდნენ „კიკვიძიობანას" — „მუსრს ავლებდნენ თეთრგვარდიელებს, პეტლიურელებს, ჰაიდამაკებს — სამშობლოს მტრებს". იმდენი თქმულა და დაწერილა ამ კაცზე!..

სამოქალაქო ომის ლეგენდად ქცეული ქართველი გმირის ვასილ ისიდორეს-ძე კიკვიძის სახელი ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის გულშია დამკვიდრებული, ისევე როგორც სახელი ჩაპაევისა და შჩორსისა, კოტოვსკისა და პარხომენკოსი, სამოქალაქო ომის თუ დიდი სამამულო ომის ყველა ლეგენდარული გმირისა.

მაინც რა განაპირობებს ამ გმირთა ესოდენ განუზომელ სახალხო სიყვარულს? — არა მარტო მათი ზღაპრული სიმამაცე, არა მარტო მხედართუფროსული და მეომრული გამჭრიახობა, არა მარტო თავდადება ბრძოლის ველზე, არამედ, ყოველივე ამასთან ერთად, ყველა ძალაზე ძლიერი ძალის გამოჩენა — სამშობლოსადმი სიყვარულის, პატრიოტობის ძალის გამოჩენა.

სწორედ თავისი ახალგაზრდა სოციალისტური სამშობლოსადმი, დიდი ოქტომბრის მონაპოვრისადმი უსაზღვრო სიყვარულით სავსე იყო მეთექვსმეტე მსროლელი დივიზიის ლეგენდარული უფროსის ვასილ კიკვიძის გულიც, სამშობლოს სამსხვერპლოზე რომ მიიტანა სამოქალაქო ომის სამხრეთის ფრონტზე, თეთრგვარდიელებთან უთანასწორო და მამაცურ ბრძოლაში ცარიცინის მახლობლად, სტანიცა იარიჟენსკაიას რაიონში.

ეს იყო ნახევარი საუკუნის წინათ — 1919 წლის 12 იანვარს.

ამ სამახსოვრო თარიღს აღნიშნავს დღეს მადლიერი საბჭოთა ხალხი.

ამ დიდებულ გმირზე მოგვითხრობს ქვემოთ მოთავსებული წერილიც.

კაცი — ლეგენდა

ვ. ი. კიკვიძის რევოლუციური მოღვაწეობა ადრე დაიწყო. იგი ქუთაისის გიმნაზიიდან გარიცხეს და ფრონტზე გაგზავნეს ცხენოსან ნაწილში.

1917 წლის ბოლოს უკრაინაში, ქალაქ როვნოში ვ. ი. კიკვიძე ადგენს წითელი გვარდიის რაზმს, რომლის სული და გული მალე თვითონვე ხდება. მებრძოლებს უყვარდათ იგი როგორც მეთაური და ამხანაგი.

უკრაინაში გერმანელი ოკუპანტები შემოიჭრნენ და კიევისაკენ მოეშურებოდნენ. კიევის ბოლშევიკები ქარხანა „არსენალის" მუშებთან ერთად აჯანყდნენ ცენტრალური რადის წინააღმდეგ. მათ მიეშველა კიკვიძის წითელგვარდიული რაზმი. პეტროგრადიდან და მოსკოვიდან ჩამოსულ რაზმებთან ერთად მოქმედებით მან ქალაქი გაათავისუფლა. კიევის მუშებმა კიკვიძეს ჯავშნიანი მატარებელი გადასცეს.

ვ. ი. კიკვიძეს ეხერხებოდა გამოსავლის მონახვა უძნელესი მდგომარეობიდან. ბრესტის ზავის ხელშეკრულების დადების შემდეგ უკრაინაში მყოფი მთელი ჯარები უნდა განეიარაღებინათ. კიკვიძეს არ უნდოდა ჩაებარებინა იარაღი. მან გადაწყვიტა რადაც უნდა დასჯდომოდა გამოეღწია გერმანელების მიერ დაკავებული უკრაინიდან, და ასეთ ხერხს მიმართა — უბრძანა ეშელონის ვაგონებზე ჯვრები დაეხატათ და წაეწერათ: „ტიფით ავადმყოფები", მებრძოლებს კი ავადმყოფებად გაესაღებინათ თავი. ერთ-ერთ სადგურზე ეშელონი გააჩერეს. გერმანელ კომენდატს კიკვიძე წარუდგა როგორც ოფიცერი, რომელსაც დაჭრილები და ტიფიანები მიჰყავდა. კომენდანტმა ჩამოიარა ვაგონები, საიდანაც კვნესა ისმოდა. მატარებელი გაუშვეს.

კიკვიძემ ასე მოახერხა შეენარჩუნებინა საბრძოლო ერთეული, რომლის ბაზაზეც ქ. ტამბოვში შედგენილ იქნა დივიზია, სადაც ჩვენ, მებრძოლებმა, რომლებიც ამ სტრიქონებს ვწერთ, 1918 წლის 16 მაისს პირველად დავდეთ ფიცი, რომ ერთგულად ვემსახურებოდით რევოლუციას. დივიზიის უფროსად დაინიშნა ვ. ი. კიკვიძე.

პირველი ლაშქრობა გაიმართა დონზე — გენერალ კრასნოვის თეთრგვარდიელთა ბანდების წინააღმდეგ.

სულ თოთხმეტ თვეს მოუხდა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად დივიზიის ლეგენდარულ, მამაც მეთაურს. ამ მოკლე ხნის მანძილზე იგი ცამეტჯერ დაიჭრა, მაგრამ არც ერთხელ არ დაუტოვებია ბრძოლის ველი. ძნელია ჩამოთვალო მთელი მისი საგმირო საქმეები.

1919 წლის თერთმეტ იანვარს დივიზიის უფროსი კიკვიძე სასიკვდილოდ დაიჭრა. მაშინ ის ოცდაოთხი წლისა იყო. „ვნანობ, ასე ადრე რომ ვკვდები, — თეთრებისათვის ბოლო უნდა მომეღო", — ასეთი იყო გმირის უკანასკნელი სიტყვები.

ქართველ ხალხს შეუძლია იამაყოს თავისი მამაცი შვილით. ჩვენ, კიევში მცხოვრები კიკვიძელები, მოწიწებით ვინახავთ ძვირფასი მეთაურის ხსოვნას.

ვამაყობთ, რომ ერთ-ერთ ულამაზეს ქუჩას მიკუთვნებული აქვს სამოქალაქო ომის გმირის, კიევში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლის აქტიური მონაწილის ვასილ კიკვიძის სახელი.

გახსნილია კიკვიძის მუზეუმი, სადაც ექსპონირებულია ფოტოდოკუმენტები, რელიკვიები, რომლებიც მოგვითხრობენ დივიზიის უფროსის და მისი მებრძოლი თანამოსაგრეების — დივიზიის უფროსის თანაშემწის მედვედოვსკის, სახელგანთქმული მებრძოლი მატროსების ჟელეზნიაკოვის, დოცენკოს, აგრეთვე მებრძოლების ჩისტიაკოვის, ნირინსკის, ორლიკის, ვოლოსატის, დენისოვის, ერემენის, ციგუროვის, ბოგდანოვის საბრძოლო გზაზე, პირველი მუშურ-გლეხური პოლკის მეთაურზე ამხ. ჩაიკოვსკიზე, რომელიც ახლაც ცოცხალია.

კიევის მშრომელები, კომკავშირელები, ახალგაზრდობა დიდი ინტერესით ათვალიერებენ მუზეუმს. გახსნის დღიდან იგი 10 ათასზე მეტმა კაცმა ინახულა.

ჩვენი თხოვნით უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სამდინარო ფლოტის მთავარმა სამმართველომ ერთ-ერთ მოქმედ თბომავალ გემს ვ. ი. კიკვიძის სახელი მიაკუთვნა. სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრო 1969 წელს გამოუშვებს კონვერტს ვ. ი. კიკვიძის პორტრეტით.

ჩვენი, კიკვიძის დივიზიის ყოფილი მებრძოლების, მხურვალე სურვილია ხელი შევუწყოთ ლეგენდარული გმირის — ვასილ ისიდორეს-ძე კიკვიძის ხსოვნის უკვდავყოფას — ქრონიკალურ-დოკუმენტური სატელევიზიო ან მხატვრული ფილმის შექმნით.

ეს უთუოდ იქნებოდა ღირსეული ძეგლი რევოლუციის ერთ-ერთი უერთგულესი ადამიანის, თავისი ქვეყნის, თავისი ხალხის ნათელი მომავლისათვის თავდადებული გმირის ხსოვნის აღსანიშნავად.

ა. ერკოვიჩი, ს. ლემეშკო, ო. ჟიდკოვი,

ვ. ი. კიკვიძის სახელობის დივიზიის ყოფილი მებრძოლები.

სურათზე: კიევის 133-ე სკოლის ვ. კიკვიძის სახელობის პიონერული რაზმის წევრებს სამოქალაქო ომის ვეტერანი, ლეგენდარული მე-16 დივიზიის კავალერისტი ო. ჟიდკოვი მოუთხრობს ვ. კიკვიძის საბრძოლო ეპიზოდებს.

ფოტო **ბ. მანიასი** და **რ. ბაბუნაშვილისა.**

ვ. კიკვიძის ხსოვნისათვის

10 იანვარს ვ. ი. კიკვიძის დაღუპვის 50 წლისთავის აღსანიშნავად თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლში გაიმართა საღამო.

დარბაზში არიან თბილისის გარნიზონის ჯარისკაცები, სერჟანტები, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანები, ქალაქის ახალგაზრდობის წარმომადგენლები. ზოგიერთი მათგანი ვასილ კიკვიძისა და მისი ღირსეული თანამებრძოლების შესანიშნავ საბრძოლო გმირობათა ცოცხალი მოწმენი არიან.

თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლთან არსებული სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოების მიერ მოწყობილი საღამო მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა ამ საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ თადარიგის გენერალ-მაიორმა ვ. ტიტოვმა. დივიზიის მეთაურის კიკვიძის სახელოვანი საბრძოლო გზის შესახებ მოხსენება გააკეთა დიდი სამამულო ომის ვეტერანმა გადამდგარმა პოლკოვნიკმა ლ. გოგატიშვილმა.

დასასრულ გაიმართა კონცერტი. საღამოს მონაწილეებს უჩვენეს ნაწყვეტი ვ. დარასელის პიესიდან „კიკვიძე". (საქდესი).

იურისტის ტრიბუნა

დანაშაული და განაჩენი

ჩვენში ყველა საჭირო ღონისძიება ხორციელდება იმისათვის, რომ ადგილი არ ჰქონდეს ადამიანთა უსაფუძვლოდ პასუხისგებაში მიცემას, დაპატიმრებასა და მსჯავრდადებას.

გამამტყუნებელ თუ გამამართლებელ განაჩენებს, საგამომძიებლო ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ერთ-ერთ ძირითად საფუძვლად ედება მოწმეთა ჩვენებები და ექსპერტთა მიერ მიცემული დასკვნები.

სასამართლო ორგანოებში მოწმედ გამოცხადებულ პირს სიმართლისათვის ღრმა პასუხისმგებლობის გრძნობა უნდა ამოძრავებდეს, უნდა სწამდეს, რომ ჭეშმარიტების მიღწევა ბევრად არის დამოკიდებული მის სწორ განმარტებაზე, რომ მისი ჩვენება ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია იმ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტისა, რომელსაც განაჩენი ეწოდება.

თუ მოწმე ცრუ ჩვენებას იძლევა, თუ ექსპერტის დასკვნა არაობიექტურია, აქ მოსალოდნელია საბედისწერო შეცდომა, რაც განსასჯელის უდანაშაულოდ დასჯით ან მისი უსაფუძვლო გამართლებით შეიძლება გამოიხატოს. ჩვენ ხაზს ვუსვამთ, რომ შეცდომა მოსალოდნელია და არა აუცილებელი, რადგან კანონის შესაბამისად არც მოწმის ჩვენება და არც ექსპერტის დასკვნა არ შეიძლება უყოყმანოდ იქნას გაზიარებული. ჩვენებებსა და დასკვნებს ღრმა კრიტიკული ანალიზი სჭირდება, და როცა ისინი ჭეშმარიტად უტყუარნი აღმოჩნდებიან, მხოლოდ მაშინ შეიძლება ისინი საფუძვლად დაედოს განაჩენს.

საფუძვლიანი თავისთავად სამართლიანიც უნდა იყოს, მაგრამ ზოგჯერ მერყევია ეს საფუძველი და გვეჩვენება კი მტკიცედ. მართლმსაჯულთა ხელოვნება სწორედ ის არის, რომ სავსებით და შეუცდომლად გაფანტონ მოჩვენებითობის ეს ბურუსი, რაც სამართლიანობის სრული გარანტია იქნება. როგორც ვთქვით, თითქოს იდენტური უნდა იყოს საფუძვლიანი და სამართლიანი, მაგრამ პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეს ყოველთვის ასე არ არის. ა. ჩ-კი, რომელიც სიფხიზლეში ყოველთვის თავაზიანი და უწყინარი იყო, გასული წლის 6 ნოემბერს დაითვრო, თავისი საცხოვრებელი სახლის ეზოში ატეხა დებოში და აგინა მეზობლებს, ჩაიდინა ხულიგნობა.

სასამართლოს საფუძველი ჰქონდა დამნაშავედ ეცნო ა. ჩ-კი, იცნო კიდეც ის დამნაშავედ და პატიმრობა მიუსაჯა ერთი წლის ვადით. აქ თითქოს არაფერია სადავო, გამამტყუნებელი განაჩენისათვის არსებობდა სრული საფუძველი, სასჯელის ღონისძიებაც ჩადენილი დანაშაულის შესატყვისად იყო შეფარდებული. მაგრამ აღნიშნული საქმის განხილვის დროს სასამართლო პროცესში სადავო გახდა, იყო თუ არა ბრალდებული ჩვეული ალკოჰოლიკი.

სასამართლო-სამედიცინო დასკვნით თუ დადგინდებოდა, რომ ა. ჩ-კი ალკოჰოლიკი იყო, იმ შემთხვევაში მისთვის პატიმრობა კი არ უნდა შეეფარდებინა სასამართლოს, არამედ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად უნდა გაეგზავნა იგი სპეციალურ სამკურნალო საავადმყოფოში იძულებითი მკურნალობისათვის. ამ საკითხზე არაფერს არ ვიტყოდით, ეს მაგალითი ერთადერთი რომ იყოს სასამართლო და საგამომძიებლო ორგანოების საქმიანობაში. აქედან კი ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ, როცა ამბობენ, განაჩენი თუ გადაწყვეტილება საფუძვლიანიაო, ყველა შემთხვევაში არ უნდა ვგულისხმობდეთ, რომ იგი სამართლიანიც არის.

კანონით მკაცრი პასუხისმგებლობაა დაწესებული იმ პირებისათვის, რომლებიც წინასწარი შეცნობით ცრუ ჩვენებებს იძლევიან. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 197-ე მუხლით ასეთი ბრალდება 2 წლამდე, ხოლო დამამძიმებელ გარემოებაში 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. სავსებით ანალოგიურია იმ ექსპერტის პასუხისმგებლობაც, რომელიც ყალბ დასკვნას აძლევს საგამომძიებლო თუ სასამართლო ორგანოებს.

ცრუ ჩვენებისა და ყალბი დასკვნის მიმცემი შეგნებულად უწევს დახმარებას ნამდვილ დამნაშავეს, არ ითვალისწინებს და არ ერიდება, რომ ამგვარი „დახმარებით" ზოგჯერ შეიძლება უდანაშაულო ადამიანს დაედოს მსჯავრი.

ამ ერთი წლის წინათ მოქალაქე წ. შინისაკენ მიდიოდა. ქუჩაში მას შეხვდა მთვრალი ვ., რომელიც წინათ ოთხჯერ იყო ნასამართლევი ქურდობისა და ხულიგნობისათვის. მთვრალმა ცემა დაუწყო წ-ს. ეს უკანასკნელი ხელიდან გაუსხლტა გარეწარს და თავის დაღწევის მიზნით ეზოში შეირბინა, მაგრამ ეს ეზო ვ-ს უახლოესი ნათესავებისა აღმოჩნდა.

ეზოში მსუბუქი ავტომანქანა იდგა, რომელშიც ვ-ს მთვრალი ნათესავი იჯდა. ეზოში ამ ნათესავმაც ცემა მას, უფრო მეტიც, გააღეს მანქანის საბარგული და მოინდომეს წ-ს შიგ ჩადება. წ-მ საბარგულში პატარა ნაჯახს მოჰკრა თვალი, დასტაცა ხელი და ვ-ს მძიმე, ხოლო მის ნათესავს მსუბუქი ჭრილობა მიაყენა.

ამ საქმესთან დაკავშირებით წარმოებული გამოძიების დროს ვ-ს ნათესავებმა, როგორც იტყვიან, „პირი შეკრეს", ცრუ ჩვენებები მისცეს და წ. თავდამსხმელად, ხოლო ვ. და მისი ნათესავები თავდამცველად გამოაცხადეს.

გამომძიებელმა არ დაკითხა ობიექტური მოწმეები, უკრიტიკოდ დაუჯერა ვ-ს ნათესავებს და წ. პასუხისგებაში მისცა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 17-105 მუხლით (განზრახ მკვლელობის მცდელობა).

საქმის განხილვისას სახალხო სასამართლო ვ-ს ნათესავთა დიდი ჯგუფის ჩვენებების სიმართლეში დაეჭვდა. სასამართლომ დამატებით გამოძიებისათვის დააბრუნა საქმე. დამატებითი გამოძიებით უტყუარად დადგინდა, რომ წ. აუცილებელი მოგერიების ფარგლებში მოქმედებდა და რომ მას არ ჰქონდა ჩადენილი სისხლის სამართლის წესით დასასჯელი მოქმედება, რის გამო საქმე წარმოებით იქნა შეწყვეტილი.

აღნიშნულ მოწმეთა მიერ კანონისადმი და ამასთანავე სიმართლისა და საკუთარი სინდისისადმი უპატივცემლობამ რვა თვე გაატარებინა საპატიმროში კაცს, რომელიც ამ საქმეში არა ბრალდებულად, არამედ დაზარალებულად უნდა ყოფილიყო ცნობილი.

ცრუ ჩვენება უსაშინლესი მტერია მართლმსაჯულებისა. ამიტომ საეჭვო ჩვენებებსა და საექსპერტო დასკვნებს ზუსტად უნდა გაუკეთდეს ანალიზი, წინააღმდეგ შემთხვევაში მომკვლევმა, გამომძიებელმა თუ მოსამართლემ მიუტევებელი შეცდომა შეიძლება დაუშვას მართალი პირის საზიანოდ ან დამნაშავის სასარგებლოდ.

1965 წლის 6 აგვისტოს გარდაბნის რაიონის საგამომძიებლო ორგანოებმა სისხლის სამართლის საქმე აღძრეს და პასუხისგებაში მისცეს ი. ა-ძე იმ ბრალდებით, რომ სატვირთო ავტომანქანა, რომელსაც მართავდა, დააჯახა მსუბუქ ავტომანქანა „ვოლგას", რომელშიც მყოფი ერთი მგზავრი ადგილზევე გარდაიცვალა. ავტომანქანა „ვოლგას" მართავდა თ-ნი, რომელიც მსუბუქად დაშავდა. სადავო გახდა ის, თუ ვინ იყო დამნაშავე — სატვირთო თუ მსუბუქი ავტომანქანის მძღოლი?

ავტოტექნიკური ექსპერტის დასკვნით „ვოლგის" მძღოლს თ-ს სავსებით ეხსნებოდა პასუხისმგებლობა, ხოლო ი. ა-ძის ბრალდების საქმე განსახილველად სახალხო სასამართლოში წარიმართა. სასამართლომ საეჭვოდ მიიჩნია საექსპერტო დასკვნა, რის გამო საქმე დამატებითი გამოძიებისათვის დააბრუნა და მიუთითა, რომ ზუსტად გარკვეულიყო, მიუძღოდა თუ არა ბრალი სატვირთო მანქანის მძღოლთან ერთად მსუბუქი ავტომანქანის მძღოლსაც.

საქმეზე მეორე საექსპერტო დასკვნა იქნა წარმოდგენილი და აქაც იგივე განმეორდა. სასამართლო კი სამი დღის სამსჯავრო გამოძიების შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ავტოავარიასთან დაკავშირებით თ-საც მიუძღოდა ბრალიო, რის გამო „დაზარალებული" თ. დააპატიმრა და საქმე მეორედ დააბრუნა დამატებითი გამოძიებისათვის.

კრიმინალისტური ლაბორატორიის ექსპერტები ისევ და ისევ უდანაშაულოდ აცხადებდნენ თ-ს. საბოლოოდ ექსპერტთა კოლექტიური დასკვნა დაიწერა. აქ უკვე აშკარად გამოირკვა მსუბუქი ავტომანქანის მძღოლის თ-ს პასუხისმგებლობა, და საბოლოოდ სასამართლომ მას ხუთი წლით, ხოლო, ა-ძეს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

დასასჯელია ყოველი ცრუ მოწმე, მაგრამ ჩვენ აქ ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებასაც, რომ ზოგჯერ დაინტერესებული პირები მოკვლის, ძალადობის ან ქონებრივი ზიანის მიყენების მუქარით აიძულებენ მოწმეებს, დაზარალებულებსა თუ ექსპერტებს მისცენ ცრუ ჩვენება ან არასწორი დასკვნა. სსკ 199-ე მუხლი მსგავსი მუქარისათვის ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, მაგრამ არა გვგონია, რომ საკმაო იყოს ის ღონისძიებანი, რომლებიც ამნაირი მოძალადეების მიმართ ხორციელდება.

ნათელი ხდება, რომ ამ კატეგორიის საქმეებზე არადამაკმაყოფილებლად წარმოებს მუშაობა. ცრუ მოწმეებსა და არასწორი დასკვნის მიმცემთ არ უნდა ეპატიოთ დანაშაული. ისინი უნდა გრძნობდნენ კანონის ძალას. ეს კი მტკიცე საფუძველს შექმნის სამართლიანი განაჩენის დადგენისათვის.

აკ. პაიჭაძე,

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, რესპუბლიკის დამსახურებული იურისტი.

წერილი რედაქციას

მრუდე სარკეში

ერთ ისტორიულ რომანში საქართველოს წარსულის გაყალბების გამო

გასულ წელს დიდი ტირაჟით გამოიცა გ. ხ. ვერმიშევის ისტორიული რომანი „ამირსპასალარი".

წიგნი ეძღვნება XII-XIII საუკუნეების მიჯნის საქართველოს სახელმწიფოს ერთ-ერთი დიდი მოხელის ამირსპასალარ ზაქარია მხარგრძელის მოღვაწეობას და, ბუნებრივია, რომ რომანის ავტორს ვრცელი მსჯელობა უხდება ფეოდალური საქართველოს ღირსშესანიშნავ ეპოქაზე, რუსთაველის ეპოქაზე, ჩვენი ქვეყნის წარსულის ისეთ დიდ პოლიტიკურ მოღვაწეებზე, როგორიც იყვნენ დავით IV აღმაშენებელი, გიორგი III, თამარ მეფე, დავით სოსლანი და ბევრი სხვა.

ასეთი დიდი და საპატიო ამოცანა კი ავტორისაგან მოითხოვდა კეთილსინდისიერად გასცნობოდა ყველა იმ წყაროს და სათანადო ლიტერატურას, ქართულს, სომხურს თუ სხვას, რაც კი ამ ეპოქის შესახებ მოგვეპოვება, და სწორედ ამ წყაროთა და მეცნიერული ლიტერატურის საფუძველზე შეექმნა ისტორიული რომანისათვის საჭირო ობიექტური ისტორიული ქარგა. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ისტორიული რომანი არ არის ისტორიული მონოგრაფია, გამოკვლევა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ისტორიული რომანი ისევე არ შეიძლება დაიწეროს სათანადო წყაროებისა და ლიტერატურის გაუთვალისწინებლად, როგორც თვით ისტორიული მონოგრაფია.

ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ გ. ვერმიშევი არ იცნობდეს ძირითად (მათ შორის ქართულ) წყაროებს, მაგრამ მისი მიდგომა ამ წყაროებისადმი ან სავსებით ცალმხრივია, ან კიდევ ტენდენციური. ამასთანავე, ავტორი არავითარ ანგარიშს არ უწევს ქართულ ისტორიულ სამეცნიერო ლიტერატურას და ისტორიული მასალის მთელი ანალიზი არსებითად ასევე ცალმხრივ და, ხშირ შემთხვევაში, ტენდენციურ სომხურ ისტორიულ ლიტერატურაზე აქვს დამყარებული.

ამრიგად, გ. ვერმიშევის ისტორიული რომანი XII-XIII საუკუნეების მიჯნის საქართველოს ისტორიის შესახებ არსებითად დაიწერა ქართული სამეცნიერო ლიტერატურის უგულებელყოფით, სრული იგნორირებით.

და ეს, ცხადია, შემთხვევითი არ არის... ქართული წყაროებისა და ლიტერატურის კეთილსინდისიერი გამოყენებით, რა თქმა უნდა, ვერ დაიწერებოდა გ. ვერმიშევის „ამირსპასალარი", ქართველი ხალხის მდიდარი წარსულის დამდაბლებისა და გაყალბების ტენდენციით გამსჭვალული წიგნი.

საგაზეთო წერილის ფარგლებში ძნელი იქნებოდა ყველა იმ სიყალბეზე თუ საქართველოს ისტორიის უცოდინარობით გამოწვეულ შეცდომებზე შეჩერებოდეთ, რაც რომანში ასე უხვად არის მიმობნეული; მაგრამ ჩვენ მიერ ზემოგაკეთებული განცხადების საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითს მაინც მოვიყვანთ.

ოთხი ნაწილისაგან შემდგარი ვრცელი რომანის უკანასკნელი ორი ნაწილი არსებითად ამირსპასალარ ზაქარია მხარგრძელის განდიდებისა და გაიდეალებისადმია მიძღვნილი, წინა ორი ნაწილი კიდევ ამირსპასალარის ასე განდიდებისათვის სათანადო ნიადაგის მოსამზადებლად არის დაწერილი; ასეთი ნიადაგი კი, ავტორმა XII ს. საქართველოს ისტორიის გაყალბებით და იმ დროის დიდ პოლიტიკურ მოღვაწეთა როლის დაკნინებით მოამზადა.

გ. ვერმიშევის „კონცეფციის" მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, XII ს. ფაქტიურად არ არსებობდა ერთიანი ქართული სახელმწიფო, საქართველოს სახელმწიფო თავისი ვრცელი საზღვრებით, ზღვიდან ზღვამდე, ოვსეთიდან არაგაწამდე, ვერმიშევის მიხედვით, საქართველოს მეფეები, არსებითად, ქართლის მეფეები იყვნენ. შემთხვევითი არ არის, რომ გ. ვერმიშევი თითქმის ყველგან, თავისი რომანის მთელ სიგრძეზე მხოლოდ „ქართლს" ხმარობს საქართველოს მნიშვნელობით და არსად საკუთრივ „საქართველოს". მისი სიტყვით, თამარი თურმე აკურთხეს „ქართლის მეფეთა-მეფედ" (გვ. 149), ივანე ორბელი იყო „ქართლის ამირსპასალარი" (გვ. 25), „თბილისი ქართლის დედაქალაქი" (გვ. 103, შდრ. აგრეთვე გვ. 51, 99, 148, 149, 164, 166 და სხვ). გარდა იმისა, რომ ავტორი ამით ჩქმალავს იმდროინდელი საქართველოს სახელმწიფოს შინაარსს და აყალბებს ისტორიული წყაროების მითითებებს (საკმარისი იქნებოდა საამისოდ გაგვეხსენებინა XII ს. საქართველოს მეფეთა მხოლოდ ტიტულატურა) გ. ვერმიშევს სურს XII ს. საქართველოს სახელმწიფო წარმოგვიდგინოს ქართულ და სომხურ, უკეთ, ქართლისა და სომხეთის „ფედერაციულ" სახელმწიფოდ. მხოლოდ ამ შინაარსით წარმოუდგენია ავტორს ტერმინი „საქართველო", საკუთრივ ქართული სახელმწიფოს აღმნიშვნელად კი ამიტომ მიაჩნია მას მხოლოდ „ქართლი". ასე რომ „საქართველო" მხოლოდ ერთგვარი კრებითი ცნება შეიძლება ყოფილიყო, რომელშიც, მართალია, სომხური ტერიტორიებიც ივარაუდებოდა, მაგრამ ეს უკანასკნელი ამ კრებით სახელმწიფოში დამოუკიდებლობით სარგებლობდა. ეს — სომხეთის დამოუკიდებლობა ზაქარია მხარგძელის დროიდან მაინც, არის მთავარი და ძირითადი ხაზი, რომელზეც აგებულია რომანის ავტორის მთელი „კონცეფცია".

ბუნებრივია, თუ კი ყოველივე ამის, საქართველოს ისტორიის ასე გაყალბების, შემდეგ საქართველოს სამეფოს ერთ-ერთი მოხელე, ამირსპასალარი, სავსებით ხელოვნურად სომხეთის მეფედ, „შაჰინშაჰად" ქცეული ზაქარია მხარგრძელი არანაკლებ (ზოგ შემთხვევაში უფრო მეტი) უფლებებით მოსილ საქართველოს მეორე „მეფედ" წარმოუდგენია მას თამარის შემდეგ.

მართლაც, თუ ვერმიშევს დავუჯერებთ, ზაქარია მხარგრძელი დამოუკიდებლად აწარმოებდა საგარეო ურთიერთობასაც კი, იღებდა და გზავნიდა ელჩებს რომის პაპთან, კილიკიის სამეფოში (იხ. გვ. 523-25); მას ჰყავდა ორი სამეფოს ორი არმია (გვ. 525); იწოდება არა მარტო საქართველოს ამირსპასალარად, არამედ საერთოდ „აღმოსავლეთის მხედართმთავრად" (გვ. 526); ცხადია, სავსებით დამოუკიდებელი იყო იგი აგრეთვე სამხედრო ოპერაციებსა და საერთოდ სამხედრო საქმეებში. ავტორის სიტყვით, მას ხელთ უპყრია ორივე სამეფოს მთელი ძალაუფლება (გვ. 352); შემთხვევითი არ არის ისიც, რომ რომის პაპთან მისული ელჩი, პაპის შეკითხვაზე, თუ ვინ არის იმ ქვეყნის მეფე, სადაც ასეთი დიდი კონეტაბლი (მხედართმთავარი) იმყოფებაო, საჭიროდ არ მიიჩნევს იმ ქვეყნის მეფის ხსენებასაც კი და მხოლოდ ზაქარიასა და მის 100.000-იან ლაშქარზე ლაპარაკობს (იხ. გვ. 476).

ჩვენ ამჯერად ვერ გავმართავთ ისტორიული რომანის ავტორთან ვრცელ კამათს, ეს ზედმეტადაც მიგვაჩნია, აღვნიშნავთ ოღონდ, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული XII-XIII სს. საქართველოს ისტორიული სინამდვილის მხოლოდ გაყალბების წარუმატებელ ცდად შეიძლება იქნას მიჩნეული.

საქართველოს სამეფოსთან დავით აღმაშენებლის დროიდან შემოერთებული სომხეთის ნაწილი ერთიანი პოლიტიკური საქართველოს შემადგენლობაში შევიდა.

და მას არც XIII ს. დამდეგს მიუღწევია პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის; ამისათვის მაშინ არ არსებობდა არც საშინაო და არც საგარეო პირობები. იმჯერად აღმოსავლეთის ძლიერ ქრისტიანულ სახელმწიფოს — საქართველოს შემადგენლობაში უშალო შესვლით შეეძლო სომეხ ხალხს უცხო დამპყრობთა ბატონობისაგან თავისდახსნა და ენისა და კულტურის შენარჩუნება.

ზაქარია მხარგრძელი საქართველოს მეფის მხოლოდ მოხელე იყო, სამეფოს ამირსპასალარი და, იმდროინდელ საქართველოში არსებული წესის მიხედვით, ამ სახელოსათვის (თანამდებობისათვის) განკუთვნილ ადგილთა მფლობელი. თამარის დროინდელი ისტორიკოსიც სწორედ ამიტომ იხსენიებს ზაქარიას „პატრონად ლორისა" და „მჯდომად სომხეთა მეფისა ადგილსა" და არა თვით მეფედ (იხ. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" კ. კეკელიძის გამოც., თბ. 1941 წ. გვ. 95). ლორე და ანისი, ცხადია, მხარგრძელებს სამეფო ხელისუფლებისაგან ებოძათ „სათავადოდ (სათავკაცოდ) და სამთავროდ" (საგამგებლოდ) და არა სამეფოდ (იქვე გვ. 78), ამიტომაც იყო, რომ ზაქარია ამირსპასალარი, ისევე როგორც სამეფო კარის სხვა მოხელენი, საშინაო თუ საგარეო საქმეებში მეფეთა მეფის თამარის თუ მეფე დავით სოსლანის ბრძანებებით მოქმედებდა (იხ. იქვე, გვ. 83, 104, და სხვ.).

ზედმეტია ლაპარაკი იმაზეც, რომ ზაქარია შეუძლებელია ყოფილიყო „ორი სამეფოს" (მეორე ასეთი სამეფოს არარსებობის გამო) ლაშქრის ამირსპასალარი, იგი სარდლობდა საქართველოს სამეფო ლაშქარს, რომელშიც ქართველთა გარდა, სხვა ეროვნების, მათ შორის, ცხადია, სომეხი მოლაშქრენიც ივარაუდებოდნენ.

რომანის ავტორი მხარგრძელთა განდიდებას საქართველოს დიდ პოლიტიკურ მოღვაწეთა როლის დამცირებით აღწევს. ასე, მაგალითად გიორგი III, ნიჭიერი მხედართმთავარი და პოლიტიკოსი, დავით აღმაშენებლის აქტიური საგარეო და საშინაო პოლიტიკის დიდი გამგრძელებელი, უცოდინარ, სამხედრო თუ სამოქალაქო საქმეებში ჩაუხედავ პიროვნებად არის მიჩნეული. გ. ვერმიშევს თუ დავუჯერებთ, გიორგი III-ეს ისიც კი არ სცოდნია, თუ საიდან მომდინარეობდა მისი საკუთარი საგვარეულო, შეიძლებოდა თუ არა ქალის აყვანა ტახტზე და ისიც კი — იყო თუ არა ოდესმე ქალი მეფედ საქართველოში; უფრო მეტიც, ამ საკითხების მცოდნე, როგორც რომანიდან ჩანს, საერთოდ ქართველთაგან არავინ აღმოჩენილა და ალბათ ამიტომ, გიორგი III იძულებული გამხდარა სომეხი სჯულმდებელი მხითარ გოში ეხმო სასწრაფოდ თბილისში სათანადო ცნობების მისაღებად (იხ. „ამირსპასალარი", გვ. 69 და შემდეგ). ასევე, ვერმიშევის მიხედვით, გიორგი მეფე არც სამხედრო საქმეებში ყოფილა მაინცდამაინც ჩახედული. თუ არა სარგის მხარგრძელი და მისი თავგანწირული მოქმედება და რჩევები, 1161 წ. ქ. ანისის აღება გიორგი III-ის მიერ სრულიად შეუძლებელი იყო (იხ. იქვე, გვ. 40-41, 54 და სხვ.).

ძნელი წარმოსადგენია ასეთი რამ დაიწეროს XII ს. საქართველოს, სწორედ იმ ქვეყნისა და ეპოქის შესახებ, სადაც და როდესაც შოთა რუსთაველი თავის გენიალურ „ვეფხისტყაოსანში" მეფე ქალის მამაკაცთან თანასწორობას ქადაგებდა და ამით არსებითად საქართველოში თამარის— ქალის გამეფების კანონიერების დასაბუთებას იძლეოდა. ასევე, განა მტკიცება სჭირდება იმას, რომ საქართველოს მეფისათვის სავსებით ცნობილი უნდა ყოფილიყო საქართველოს სამეფო დინასტიის — ბაგრატიონთა, წარმომავლობა. ამის შესახებ XII ს-ზე ადრე საკუთრივ საქართველოში არაერთი საგანგებო საისტორიო თხზულება იყო შექმნილი (სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება ბაგრატიონიანთა", „ქართლის მატიანე" და სხვ.). რაც მთავარია, ბაგრატიონთა ვინაობა არა მარტო საქართველოში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც კარგად იყო ცნობილი და ამის შესახებ წერდნენ ჯერ კიდევ X ს. უცხოელი პოლიტიკური მოღვაწენი და ისტორიკოსები (მაგ. კონსტანტინე პორფიროგენეტი). ნუთუ შეიძლება ვინმემ, თუ არა საქართველოს ისტორიის გაყალბებით დაინტერესებულმა პირმა, წარმოიდგინოს, რომ ყველაფერი ეს სავსებით უცნობი იყო გიორგი III-ის თუ მისი თანამედროვე ქართველი მოღვაწეებისათვის?

სავსებით ზედმეტად მიგვაჩნია ვილაპარაკოთ გიორგი III-ის როგორც ნიჭიერი მხედართმთავრის შესახებ. საბედნიეროდ, მის თანამედროვე ქართველ თუ სომეხ ისტორიკოსებს არაერთი ცნობა შემოუნახავთ გიორგი III-ის სარდლობით ჩატარებული ბრძოლებისა და ბრწყინვალე გამარჯვებების შესახებ, მაგრამ ასეთი ცნობები გარკვეული ტენდენციით შექმნილი რომანის ავტორისათვის, ცხადია, გამოუსადეგარი იყო.

კიდევ უფრო დამცრობილი ჩანს თამარის მეუღლის, მეფე-ქმრის დავით სოსლანის წარმომავლობა თუ როლი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. გ. ვერმიშევი ყალბ წარმოდგენას უქმნის მკითხველს, როცა დავით სოსლანს წვრილ ფეოდალურ საგვარეულოდან გამოსულად, მეფეთა მეფის სავსებით უუფლებო ქმრად და ზაქარია მხარგრძელის ბრძანებების შემსრულებელ პიროვნებად მიიჩნევს (იხ. რომანის გვ. 297, 313-314, 602 და სხვ.).

საისტორიო წყაროები კი ამ შემთხვევაშიც სრულიად საწინააღმდეგოს მოგვითხრობენ. დავით სოსლანის თანამედროვე თუ მის შემდეგდროინდელმა ქართველმა ისტორიკოსებმა (თამარის ისტორიკოსები, ვახუშტი), კარგად იცოდნენ, რომ დავითი, როგორც დედით, ასევე მამითაც (მეხუთე შტო) ბაგრატიონთა შთამომავალი იყო და არა წვრილ ფეოდალურ საგვარეულოდან, ასევე კარგად არის ცნობილი მისი, როგორც მეფე-ქმრის მნიშვნელოვანი როლი XII ს. საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და ისიც, რომ ზაქარია მხარგრძელი თუ მისი მსგავსი სხვა მოხელენი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, არა მარტო მეფეთა მეფის (თამარის), არამედ, აგრეთვე, მეფე დავითის ბრძანებას ემორჩილებოდნენ და ამის მიხედვით მოქმედებდნენ (იხ. მაგ., ისტორიანი და აზმანი, გვ. 104). შეუძლებელია ყველაფერი ეს არ იცოდეს ისტორიული რომანის ავტორმა, მაგრამ ეჭვმიუტანელი ისტორიული ცნობების გამოყენება, ცხადია, მას ხელს არ აძლევდა ზაქარია ამირსპასალარის განდიდების საქმეში.

რომანის ავტორს კიდევ უფრო ყალბი სურათი აქვს დახატული თვით ქართული სამეფო დინასტიის წარმომავლობის თუ XII ს. სამეფო მოხელეთა ეროვნული კუთვნილების თვალსაზრისითაც. ავტორის „კონცეფციით" რაკი „ქართლის ყველა ფეოდალი" თავისი ბუნებით სამეფო ხელისუფლების მოღალატე იყო (გვ. 28), ან კიდევ, მექობრე და მძარცველი (იხ. გვ. გვ. 72, 75, 106), სამეფო ხელისუფლება იძულებული ხდებოდა სხვა, არაქართული წარმოშობის მოხელეები გაეჩინა და მათ დამყარებოდა. ვერმიშევის მტკიცებით, ყივჩაყი იყო არა მარტო მართლაც ნაყივჩაყარი ამირსპასალარი ყუბასარი, არამედ აგრეთვე მსახურთუხუცესი აფრიდონი (გვ. 139, 140), მეჭურჭლეთუხუცესი ყუთლუ-არსლანი (გვ. 104), სომხები იყვნენ ორბელები (იხ. გვ. 601), „ქართლის ერისთავთ-ერისთავი", რუსთავისა და „შვიდთა მთეულთა" „პატრონი" აბულასანი (გვ. 68, 69, 76, 103 და სხვ.), გუზანი ტაოსკარელი, რა თქმა უნდა, მხარგრძელები და ბევრი სხვანი.

ფანტაზიის ნაყოფია აფრიდონის, ყუთლუ-არსლანის ყივჩაყობა. ყუთლუ-არსლანი და აფრიდონი მართლაც რომ ყივჩაყები ან კიდევ ნაყივჩაყარები ყოფილიყვნენ, ეს მხედველობიდან არ გამორჩებოდათ მათ წინააღმდეგ მებრძოლ დიდგვაროვან ქართველ ფეოდალებს და ისე როგორც ნაყივჩაყარ ყუბასარს, მათაც მსგავს (ყივჩაყობის) ბრალდებას წაუყენებდნენ. ცხადია, არაფრის მთქმელია ამ მხრივ ყუთლუ-არსლანის უცხოური (თურქული) სახელიც. როგორც ნ. მარმა თავის დროზე მიუთითა, ასეთი სახელები იმ დროისათვის კავკასიის ხალხებში ფართოდ იყო გავრცელებული და ყოველთვის ასეთი სახელის მატარებლის ეროვნულ კუთვნილებაზე როდი მიუთითებდა.

ყალბ მონაცემებზეა აგებული აგრეთვე აბულასანის სომხობაც, მისი გამოცხადება ამირ-კურდ-არწრუნად. გ. ვერმიშევი ამ შემთხვევაში პროფ. ს. ერემიანის დიდი ხნის წინათ გამოქვეყნებულ, არსებითად ტენდენციურ და ქართველ ისტორიკოსთა მიერ საფუძვლიანად გაკრიტიკებულ, წერილს დამყარებია. ჩვენ აქ ვერ გავიმეორებთ ს. ერემიანის მტკიცებათა წინააღმდეგ თავის დროზე დამოწმებულ საბუთებს, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ XII ს. საქართველოში „საქვეყნოდ გამრიგე" მოხელეთა (პროვინციების გამგებელთა) ჯანაწილების (დანიშვნის) არსებული წესის მიხედვით, სავსებით წარმოუდგენელია მანკაბერდის მფლობელი სომეხი ფეოდალისათვის ქართლის ერისთავთ-ერისთაობა და მით უფრო „შვიდთა მთეულთა" (ჟინვანითურთ), პატრონობა (გამგებლობა) ებოძებინათ, ისევე როგორც წარმოუდგენელი იყო კახეთის რომელიმე ფეოდალი ოდიშის თუ სვანეთის ერისთავთ-ერისთავად დაენიშნათ და პირიქით.

საყოველთაოდ ცნობილია მხარგრძელთა წარმომავლობაც. სათანადო წყაროთა მონაცემების საფუძველზე აკად. ი. ორბელი წერდა: «Князья Долгорукие (მხარგრძელნი) курды по происхождению» (იხ. კრებული, «Памятники эпохи Руставели», Л., 1938, გვ. 5). მაგრამ სარწმუნოებით ისინი სომხები იყვნენ. თუმცა არც წარმოშობილობა და არც სარწმუნოებრივი მიმდევრობა არ შეიძლება ამა თუ იმ მოღვაწის კულტურული და ეროვნულ-პოლიტიკური კუთვნილების უმთავრეს განმსაზღვრელად მივიჩნიოთ. ისტორიული და კულტურულ-პოლიტიკური თვალსაზრისით ისინი არსებითად ქართულ სამყაროს ეკუთვნოდნენ და ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებას ემსახურებოდნენ. აღსანიშნავია, ისიც, რომ გ. ვერმიშევის მიერ ასე განდიდებული ზაქარია მხარგრძელის ძმა, ფეოდალურ საქართველოს ისტორიაში არანაკლებ პოპულარული ივანე მხარგრძელი, საქართველოს ამირსპასალარი და ათაბაგი, სარწმუნოებრივადაც ქართველი იყო (იხ. ისტორიანი და აზმანი, გვ. 123.). არაფერს ვამბობთ სავსებით უსაფუძვლო და ტენდენციურ მტკიცებაზე აბულასანის ძმად მიჩნეული გუზანის და ორბელების სომხური წარმოშობის შესახებ. ყველაფერი ეს ჩვენ მხოლოდ რომანის ავტორის მიზნის წარმოსაჩენად მოვიყვანეთ — ეს კი სავსებით ნათელია — ავტორის „კონცეფციით" XII ს. საქართველოს სამეფოს მაღალი სამოხელეო თანამდებობანი არსებითად არაქართველებს ეპყრათ და არა მარტო მაღალი თანამდებობის პირები, არამედ ხელოვან-ხელოსნებიც, არაქართველები იყვნენ და თვით ხელოვნებაც არაქართული იყო. ასე, მაგალითად, ვერმიშევის მტკიცებით, „ჯვრის ტიპის გუმბათოვანი ტაძრები სომხეთიდან მთელ მსოფლიოში (მაშასადამე, საქართველოშიც, — რედ.) გავრცელდა" (გვ. 366) და არა პირიქით, საქართველოდან, როგორც ეს საბჭოთა სამეცნიერო ლიტერატურაში დიდიხანია დამტკიცებულია (იხ. აკად. გ. ჩუბინაშვილის ფუძემდებლური შრომები).

მაგრამ საქართველოს წარსულის გაყალბებას აქით არ ამთავრებს ისტორიული რომანის ავტორი. იგი სიყალბის გზას კიდევ უფრო შორს მიჰყვება და სურს მკითხველს საქართველოს თვით სამეფო დინასტიის არაქართულობაც დაუმტკიცოს. შემთხვევითი არ არის, რომ გიორგი III-სთან საამისოდ მოხმობილი სომეხი სჯულმდებელი მხითარ გოში უარყოფს ბაგრატიონთა „ვინაობა-წარმომავლობის შესახებ მის დროს არსებულ საგანგებო საისტორიო თხზულებათა ყველა მონაცემს და საქართველოს მეფეს ახალ ვერსიას სთავაზობს — ბაგრატიონების ზემო მესოპოტამიის სომხური პროვინციიდან, ანგელტუნიდან, წარმომავლობის შესახებ (გვ. 80). მხითარ გოში თავისი მოსაზრების სისწორეში თითქოს იმდენად არწმუნებს საქართველოს მეფეს, რომ გიორგი III მზად იყო ტახტის მემკვიდრეობა სომეხ ბაგრატუნთა რომელიმე წარმომადგენლისათვის დაეთმო კიდეც, თუ კი ასეთი აღმოჩნდებოდა (იქვე, გვ. 79-82).

ყოველივე ეს, ცხადია, სხვა არაფერია, თუ არა სომხური ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ისტორიოგრაფიის ყალბი „თეორიის" გამოცოცხლების, „მკვდრეთით აღდგენის" მავნე და უბადრუკი ცდა.

დიდიხანია საბჭოთა ქართულმა და სომხურმა ისტორიოგრაფიამ სავსებით საფუძვლიანად უარყო ბაგრატიონთა სომხური წარმომავლობის ნაციონალისტური „თეორია".

საგაზეთო წერილი შესაძლებლობას არ გვაძლევს დეტალურად შევეხოთ ყველა იმ სიყალბესა და შეცდომას, რაც ზოგ შემთხვევაში ავტორის უვიცობითაც არის გამოწვეული, მაგრამ ზოგის აღნიშვნა მაინც საჭიროდ მიგვაჩნია: რა თქმა უნდა, უცოდინარობას იჩენს გ. ვერმიშევი, როცა წერს, რომ გიორგი III დრომდე „ქართლში (იგულისხმება საქართველო — რედ.) არავითარი კანონები არ ყოფილა" (გვ. 69), რომ იმ დროს არსებობდა „წითელი ხიდის" («Красный мост») სახელწოდების ხიდი (75,314 და სხვ.), რომ „დარბაზის ერი" იყო „ცხენოსანთა გვარდია" (გვ. 51), რომ ვახტანგ გორგასალი VI საუკუნეში მეფობდა (გვ. 53), რომ „ბაყათარი" ქართულია და რუსულ „ბაგატირს" ნიშნავს (გვ. 56), რომ XII საუკუნეში ამირახორად იყო ვინმე ციხიშვილი, რომ ამირეჯიბი ცერემონმაისტერია (გვ. 159) და სხვა მრავალი.

მაგრამ წიგნის მანკიერების მიზეზი მაინც ავტორის უვიცობა კი არ არის, არამედ მისი „კონცეფცია" და მიზანი XII საუკუნის საქართველოს წარმოდგენა ქართველი პოლიტიკური მოღვაწეებისა და ქართველ შემოქმედთა გარეშე, ქართველი ხალხის წარსულის უბრწყინვალესი ეპოქის დამცრობა-დაკნინება.

ასე რომ, რომან „ამირსპასალარის" გამომცემელთა და წინასიტყვაობის ავტორის სტ. ზლობინის წინასწარი შეპირება წიგნის კეთილშობილური დანიშნულებისა და მისი ისტორიული მასალის დოკუმენტურობისა თუ ჭეშმარიტების შესახებ მხოლოდ ყალბ რეკლამად შეიძლება მივიჩნიოთ. გ. ვერმიშევის ისტორიული რომანი „ამირსპასალარი", როგორც ზემოთ ვნახეთ, მხოლოდ საწინააღმდეგო დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა — მისი არც ისტორიული მასალაა დოკუმენტური და ეჭვმიუტანელი და, მით უფრო, არც დანიშნულებაა კეთილშობილური, უფრო მეტიც, იგი მავნეა... გ. ვერმიშევის წიგნის ასე დიდი ტირაჟით (65.000!) გავრცელებულმა „ისტორიულმა რომანმა" შეიძლება მხოლოდ ზიანი მოუტანოს საქმეს.

პროფ. **შ. მესხია,**

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი,

პროფ. **მ. ლორთქიფანიძე,**

ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი.

Григорий Вермишев, АМИРСПАСАЛАР (исторический роман) Военное издательство Министерства обороны СССР, Москва 1968

მხატვართა ალბომიდან

არაბეთი ქართველ მხატვართა თვალით



უკანასკნელ წლებში ბევრი ქართველი მხატვარი მოგზაურობს საზღვარგარეთის ქვეყნებში. მათ თავიანთი განცდილი და ჩანაფიქრი გადააქვთ ტილოზე და ჩვენს საზოგადოებრიობას უზიარებენ მხატვრულ ნამუშევართა გამოფენებზე. ასეთი სახის გამოფენაა გახსნილი საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების შენობაში, რომელიც მოაწყო საზოგადოების მხატვართა სექციამ და საქართველოს მხატვართა კავშირმა. გამოფენაზე წარმოდგენილია მხატვრების **დიმიტრი ბერძენიშვილისა და შალვა მამისაშვილის** ნამუშევრები — არაბეთი მხატვართა თვალით.

ექსპოზიციაში ორივე მხატვარს ფართოდ აქვს წარმოდგენილი არაბეთის ქვეყნების ღირსშესანიშნავი ძეგლების, სახელგანთქმული ეგვიპტის ფარაონთა ტაძრების, სასახლეების, კაიროს, ალექსანდრიის ცალკეული ხედები, არაბთა ცხოვრების დამახასიათებელი ეპიზოდური სურათები, პორტრეტები.

დ. ბერძენიშვილს ძირითადად ექსპონირებული აქვს აკვარელსა და ფანქარში შესრულებული ნამუშევრები. ყურადღებას იქცევს აკვარელები: „ბაზარი ალექსანდრიაში“, „კვირადღე ბარში“, „ტაძრის ნანგრევების დარაჯი“. აღსანიშნავია კაიროს ციკლის რამდენიმე სურათი — „მთავრობის სასახლე კაიროში“, „კაიროს ძველი ქუჩა“. ბერძენიშვილი აკვარელის მაღალი ტექნიკის გამოყენებით გადმოგვცემს ალექსანდრიის, ლუქსორისა და სხვა ადგილების პოეტურ სურათებს. ამ მხრივ საინტერესოა „მეჩეთი მამლუქების საფლავზე“, „ტაძრის ნანგრევები ლუქსორში“, „ლუქსორის ძველი კუთხე“. საინტერესოა აგრეთვე მხატვრის პორტრეტული ნამუშევრები, — „მძივების გამყიდველი ბიჭი“, „ეგვიპტელი მუშა“, „ეგვიპტელი გოგონა“, ამ სურათებში მხატვარი გადმოგვცემს არა მარტო ტიპაჟის გარეგან ნიშნებს, არამედ მათ შინაგან ხასიათსაც.

მხატვარს შ. მამისაშვილს უფრო მეტად ჟანრული ხასიათის სურათები აქვს გამოფენილი, რომლებიც ძირითადად გუაშით არის შესრულებული. აი, მაგალითად, „ლუქსორის მოქალაქენი“, „შეხვედრა მეგობართან“, „ჰაშიშის ტყვე“, „მოხუცი კაიროდან“, „კვირადღე ალექსანდრიაში“, „სოფლის ცხოვრებიდან“, „სანაპიროზე“. ამ ნამუშევრებში მამისაშვილი ახერხებს გადმოგვცეს თანამედროვე არაბული მოსახლეობის ცხოვრების დამახასიათებელი სურათები. ამავე დროს მხატვარი აღწერს ეგვიპტის მრავალსაუკუნოვანი კულტურის ძეგლებს. იგი დიდი მონდომებით ცდილობს ნანახისა და განცდილის აღბეჭდვას. ამ ციკლს მიეკუთვნება „ერთ-ერთი საოცრება“, „ფარაონი“, „სამი ქანდაკება“, „პირამიდასთან“, „მე სფინქსი ვარ“. აქვეა წარმოდგენილი რამდენიმე პორტრეტი, რომლებშიც გადმოცემულია უბრალო ადამიანთა ცხოვრებისეული სახეები.

გამოფენაზე გარდა აკვარელური ნამუშევრებისა ექსპონირებულია ფანქარში შესრულებული ეგვიპტური ცხოვრებიდან აღებული საინტერესო სურათები.

ლ. ხუბულური.









სურათებზე: შ. მამისაშვილის ნახატების რეპროდუქციები (მარცხნიდან) ზემოთ — „ფარაონი“, ქვემოთ — „მუშტრის მოლოდინში“ და „ფუნთუშების გამყიდველი“. მარჯვნივ ზემოდან — დ. ბერძენიშვილის ნახატების რეპროდუქციები „მძივების გამყიდველი ბიჭი“ და „ეგვიპტელი“.

დიდი კალათბურთის დღეები

10 და 11 იანვარი დიდი კალათბურთის დღეები იყო.

როგორც ვიუწყებოდით, კაუნასის „ჟალგირისმა“ კიევში დაამარცხა ადგილობრივი არმიის სასპორტო კლუბის გუნდი და 7 ქულით სატურნირო ცხრილის სათავეში მოექცა. მეორე მატჩში, რომელიც 10 იანვარს შედგა კიევში ადგილობრივ სკა-სა და კაუნასის „ჟალგირისს“ შორის, არმიელმა კალათბურთელებმა შეძლეს რევანშის აღება 66:58.

დიდ ინტერესს იწვევდა კიევის „სტროიტელისა“ და სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონის — არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდების შეხვედრა კიევში. არმიელმა კალათბურთელებმა გაიმარჯვეს ძლიერ მეტოქესთან ბრძოლაში ანგარიშით 72:67.

გუშინ შედგა 5 მატჩი.

სსრ კავშირის ჩემპიონი — თბილისის „დინამო“ თბილისის სპორტის სასახლეში თამაშობდა აუტსაიდერთან — ალმა-ატის „ლოკომოტივთან“.

თუ დასაწყისში მოსეშვილმა თავის გუნდს ზედიზედ 6 ქულა მოუტანა და მეხუთე წუთისათვის დინამოელები წინ იყვნენ 14:8, მალე სტუმრებმა წონასწორობა აღადგინეს, შემდეგ კი დაწინაურდნენ და მოიგეს ტაიმი 45:48. მეორე ნახევარში თბილისელთა უპირატესობა აშკარა იყო და გაიმარჯვეს ანგარიშით 93:68. ყველაზე მეტი ქულა (25) დინამოელებს შესძინა მოსეშვილმა.

გუშინ კიევის „სტროიტელმა“ მოუგო ცსკა-ს 93:82, ლენინგრადის „სპარტაკმა“ — თბილისის „ბურევესტნიკს“ 84:75, რიგის სკა-მ — მოსკოვის „დინამოს“ 83:75; ტარტუს „კალევმა“ — რიგის ვეფ-ს 78:70.

ჰოლანდიაში — მოჭადრაკეთა ტურნირზე

მოსკოვი, 11 იანვარი. (საქდესი). მსოფლიოს ექს-ჩემპიონი **მიხეილ ბოტვინიკი,** მსოფლიოს ჩემპიონი **ნონა გაფრინდაშვილი,** გროსმაისტერები **პაულ კერესი** და **ეფიმ გელერი** დღეს გაფრინდნენ ჰოლანდიაში, სადაც მონაწილეობას მიიღებენ მოჭადრაკეთა ტრადიციულ საერთაშორისო ფესტივალში, რომელიც 13 იანვარს იხსნება ქალაქ ვეიკ ან ზეეში (ამსტერდამის მახლობლად).

ბოტვინიკი, კერესი და გელერი მონაწილეობას მიიღებენ მთავარ ტურნირში, რომლის შემადგენლობაში მოწვეულია 16 გროსმაისტერი და ოსტატი. ნონა გაფრინდაშვილი მონაწილეობას მიიღებს ოსტატთა პარალელურ ვაჟთა ტურნირში, რომელიც იმავე დროს მოეწყობა.

საქდესის კორესპონდენტთან საუბარში კერესმა თქვა:

— მოჭადრაკეთა ფესტივალები ჰოლანდიაში რეგულარულად ეწყობა 1938 წლიდან მოყოლებული ჰასტინგსის ტურნირების მსგავსად, მაგრამ აქ სხვადასხვა ქვეყნის გაცილებით მეტი მოჭადრაკე მონაწილეობს. საბჭოთა გროსმაისტერები პირველად გამოვიდნენ ბევერვეიკში 1960 წელს. ამ შეჯიბრებაში შარშან ეფექტიანი გამარჯვება მოიპოვა გროსმაისტერმა ვიქტორ კორჩნოიმ.

წლევანდელ ტურნირში საბჭოთა გროსმაისტერების გარდა ითამაშებს შვიდი გროსმაისტერი, მათ შორის ლაიოშ პორტიში (უნგრეთი), ვილიამ ლომბარდი და პალ ბენკო (ამერიკის შეერთებული შტატები), იან-ჰეინ დონერი (ჰოლანდია) და სხვა ცნობილი მოჭადრაკეები. შეჯიბრების შემჭიდროებული ვადა (15 ტური 19 დღეში) მონაწილეებისაგან მოითხოვს დიდ შემოქმედებით დაძაბულობას და ბრძოლის ოსტატურ ტაქტიკას.

დაწინაურდა ტალი

ალმა-ატაში „ოქროს მაძიებელ“ გროსმაისტერებსა და ოსტატებს დიდი დავა აქვთ.

თუ წინა, მეექვსე ტური შედეგიანობით გამოირჩეოდა, მეშვიდე ტურში მხოლოდ სამი პარტია დამთავრდა. ა. ზაიცევი წარმატებით იბრძოდა პლატონოვის წინააღმდეგ და მეტად მნიშვნელოვანი ქულა ჩაიწერა სატურნირო ცხრილში. გამარჯვება მოიპოვა აგრეთვე ლეინმა. ამჯერად მან დაამარცხა ციმკოვსკი. მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ტალისა და საერთაშორისო ოსტატ ბაგიროვის შეხვედრაში საინტერესო ბრძოლის შემდეგ მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ. გურგენიძის პარტია პოდგაეცთან გურგენიძის ავადმყოფობის გამო არ შედგა. დანარჩენი პარტიები დაუმთავრებელი დარჩა.

შვიდი ტურის შემდეგ ერთპიროვნული ლიდერი გახდა რიგელი გროსმაისტერი ტალი, რომელსაც 5 ქულა აქვს. სახაროვს 4,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, ლეინსა და ა. ზაიცევს — 4,5-4,5 ქულა.

დ. ცხომარია

უდროოდ გარდაიცვალა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ზოგადი მიწათმოქმედების კათედრის დოცენტი დავით ბოკოს-ძე **ცხომარია.**

დ. ცხომარია დაიბადა 1912 წლის 31 დეკემბერს ხობის რაიონის სოფელ პირველ ხორგაში, არასრული საშუალო განათლების მიღების შემდეგ 1928 წელს იგი შევიდა ცხაკაიას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, რომელიც დაამთავრა 1931 წელს.

1932-1937 წლებში დ. ცხომარია სწავლობდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა და პედაგოგის კვალიფიკაციის მიღების მიზნით მივლინებულ იქნა ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში აგრონომიულ განყოფილებაზე. აკადემიის დამთავრების შემდეგ გაიგზავნა მასწავლებლად ბაკურციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში.

1939 წელს დ. ცხომარია ჩაირიცხა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც ომმა მოუსწრო. დიდ სამამულო ომში იგი იყო ასეულის მეთაური, პოლკის პარტორგი, ბატალიონის მეთაური; დაჯილდოებული იყო რამდენიმე მედლით.

ომის შემდეგ, ასპირანტურა რომ დაამთავრა, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მუშაობდა ზოგადი მიწათმოქმედების კათედრის ასისტენტად, ხოლო საკანდიდატო დისერტაციის წარმატებით დაცვის შემდეგ იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მემინდვრეობის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო ნაწილში. შემდეგ მუშაობდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სექტორის უფროსად, გარდაბნის რაიონის სოფელ ტაბახმელის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიულ სკოლაში კათედრის გამგედ, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ზოგადი მიწათმოქმედების კათედრის დოცენტად, ჟურნალ „საქართველოს სოფლის მეურნეობის“ რედაქციის განყოფილების გამგედ. სკკპ წევრი იყო 1940 წლიდან. დაწერილი და გამოქვეყნებული ჰქონდა სამოცამდე მეცნიერული ნაშრომი.

შრომისმოყვარე, გულისხმიერი ადამიანი, სამშობლოსათვის თავდადებული პატრიოტი, ახალგაზრდა სპეციალისტების აღმზრდელი დ. ცხომარია დიდხანს ემახსოვრებათ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებრიობას, ამხანაგებს, კოლეგებს, მოწაფეებს.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო; საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი; ჟურნალ „საქართველოს სოფლის მეურნეობის“ რედაქცია.

სასამართლო დარბაზიდან

ავი ხუთეული ჯაჭვისხიდიდან...

მაისის იმ დღეს ქალაქ ქუთაისიდან დაშორებით რიონის ხეობისაკენ მიმავალ გზაზე ტაქსი „ვოლგა“ რესტორნის წინ მოწყვეტით შეჩერდა.

— ცოცხალი გაქვს? — წარბშეკვრით ჰკითხა დამხვდურს გიორგი ჟორჟოლიანმა და თან თვალი ეჭვიანად მიმოავლო დარბაზში მსხდომ ადამიანებს.

— არის! — იყო პასუხი.

— ცვრიანი სუკის მწვადები?

— არის!

— ბროწეულის წვენი?

— შენთვის ყველაფერი გვაქვს!

— ჩიტის რძეც?! — შენიშნა მებუფეტეს გიორგიმ და მეგობარს ყურში წასჩურჩულა: მაისი ქუთაისის ვარდობის თვეა, ჩემთვის კი სადარდო და სანავარდოა!.. ო, როგორ წავაგე ზარში სახლი! — წაიბურტყუნა და სიმწრისგან ხელზე იკბინა.

— სამაგიეროდ წუხანდელი ნადავლი ყველაფერს მოგიშუშებს!

წუხანდელი ნადავლის ხსენებაზე ცოტა არ იყოს გიორგი შეკრთა, მუჯლუგუნი წაჰკრა მეგობარს:

— ფრთხილად, ხესაც და ქვასაც ყური აქვს...

გვიანღამემდე გააგრძელეს ქეიფი. ტაქსი, რომელსაც გ. ჟორჟოლიანი პართავდა, მთელი დღე უქმად იდგა, გეგმა და შემოსავალი მძღოლს სულ არ აწუხებდა.

წუხანდელი ნადავლით ხარობდა ორი ავისმქმნელი — გიორგი ჟორჟოლიანი და ნიკოლოზ ჯანგავაძე. სწორედ მათ 1966 წლის 17 მაისს ღამით კავშირგაბმულობის ქუთაისის კვანძის შენობა გატეხეს. ცეცხლგამძლე სალარო ელექტროაპარატით გაჭრეს, იქიდან 25.829 მანეთი და პისტოლეტი წაიღეს. მოტაცებული თანხა მძარცველებმა ჟორჟოლიანის სახლის სარდაფში გაიყვეს.

— ასე ზარალში ვიქნები, მესამე კაცი, რომელიც დაგვეხმარა, მასაც წილი ხომ უნდა. ჩამოდი ათასხუთას მანეთს, დანარჩენს მე დავუმატებ, — უთხრა ჟორჟოლიანმა თანამონაწილეს. ჯანგავაძემაც დასახელებული თანხა დაუყოვნებლივ მისცა.

გიორგიმ ეს ფულიც ჩაიჯიბა და ავტომანქანა ქუთაისის ცენტრალური ქუჩისაკენ გააქროლა.

1967 წლის ზაფხულში ჟორჟოლიანმა მანქანაში გაიცნო შუქურა ნიჟარაძე, ვლადიმერ ეგოროვი. ცას შესწვდა სიხარულით, როცა შეიტყო მათი წარსული. ორთავე ნასამართლევი იყო. ორთავეს ცეცხლსასროლი იარაღი აღმოაჩნდა.

— შესანიშნავი ხუთეული გვყავს, — თქვა გიორგიმ, და ჯაჭვისხიდთან სასაუზმის პატარა ოთახში ფიცი დადეს. ბნელი საქმეების ოპერატიულად, დაგეგმილად ჩატარების ორგანიზატორობა გიორგი ჟორჟოლიანმა ითავა. ჰქონდათ ბჭობა, სჯა-ბაასი...

და ხუთეულის ბანდამ თავი აიშვა.

ერთ დღეს, ღამის 24 საათზე ჟორჟოლიანი, ნიჟარაძე, ეგოროვი და როხვაძე ქალაქ ქუთაისში მახარაძის ქ. № 28 სახლს მიადგნენ.

— ფული ჩასძახეს მძინარე ისაკ პაპიაშვილს.

[illegible]

გარდაიცვალა. მეორე ტყვიამ საწოლში თვით ისაკ პაპიაშვილი მოკლა. მესამე ტყვიამ მათი პატარა ბიჭუნა მურადი დაჭრა, მეოთხე ტყვია კი ამ ოჯახის სტუმარს იოსებ აჯიაშვილს მოხვდა...

ამ უსაზიზღრესი თავდასხმის შემდეგ მძარცველები ჟორჟოლიანმა თავისი „ტაქსით“ სახლებში წაიყვანა.

მეორე დღეს კი გარეწრებმა კვლავ ლხინი და ტაშ-ფანდური გამართეს...

მათ კვლავ დაგეგმეს ბოროტების ახალი ვარიანტი. წერეთლის ქუჩის № 57 სახლში მცხოვრებ იაკობ ხიხინაშვილის ოჯახს მიადგნენ. სახლში დიასახლისი დახვდათ ორ მცირეწლოვან ბავშვთან ერთად.

იარაღით დალეწეს კარი.

— ხმა, თორემ სიკვდილს ვერ გადაურჩებით, — დაიღრიალა გიორგიმ. მეტი რა გზა იყო — დიასახლისმა ა. ხიხინაშვილმა ბანდიტებს 1.020 მანეთი გადასცა. იცოტავეს, ქალი შეკრეს, საწოლზე მიაბეს, პირში ბურთი ჩასჩარეს. თავდაყირა დააყენეს ოჯახი, გაუჩხრეკელი არ დატოვეს არც ერთი კუნჭული, წაიღეს 5.000 მანეთი, 1.000 მანეთის სამპროცენტიანი ობლიგაციები, ძვირფასი ნივთები...

ჟორჟოლიანმა თავისი ძმაკაცებით ახლა კლდიაშვილის ქუჩაზე მცხოვრები გივი ბრეგაძის ოჯახი ააფორიაქა. ისინი ნიღაბაფარებულნი დაძრწოდნენ. შეთოკეს დამხვდური, წაართვეს ფული, ნივთები და მიიმალნენ...

ავისმქმნელთა შენიღბული გზები მკაცრად ჩახერგეს მილიცია-პროკურატურის ორგანოებმა. ამ დანაშაულთა გახსნისა და ბოროტმოქმედთა შეპყრობის საქმეში განსაკუთრებით თავის გამოჩენისათვის სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრების ბრძანებით დაჯილდოვდა მილიციის მუშაკთა დიდი ჯგუფი. მათ შორის ქუთაისის მილიციის სამმართველოს ყოფილი უფროსი პოლკოვნიკი გ. შალამბერიძე, იმავე სამმართველოს მილიციის პირველი განყოფილების უფროსი მილიციის პოდპოლკოვნიკი გ. დარსაძე.

მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს ამ საქმის გამოძიებისათვის ქუთაისის პროკურატურის უფროსმა გამომძიებელმა ს. მაღლაკელიძემ და ქუთაისის პროკურორმა ა. ჟღენტმა.

ვინ არიან გარეწრები, რით „ამკობენ“ თავიანთ ბიოგრაფიას?

გიორგი ვლადიმერის-ძე ჟორჟოლიანი წყალტუბოს რაიონის სოფელ მაღლაკიდან არის. მის წარსულს „ამშვენებს“ ასეთი თარიღები: 1945 წელს ქურდობისათვის მისჯილი ჰქონდა სამი წლის პატიმრობა. 1946 წელს ციხეშიც იქურდა, რისთვისაც გაასამართლეს; იქვე გაასამართლეს საპატიმროდან გაქცევის ცდისთვისაც; 1948 წელს კვლავ გაასამართლეს მოქალაქეთა გაქურდვისათვის, და შვიდი წლის პატიმრობა მიუსაჯეს. 1960 წელს კვლავ დანაშაულისათვის სამსჯავრო სკამზე იჯდა.

ასეთივე ჭუჭყიანი ბიოგრაფია აქვს შუქურა ვლადიმერის-ძე ნიჟარაძესაც. წარმოშობით ის ვანის რაიონის სოფელ კიროვიდან არის. უქნარა, მუქთახორა, მეზობლის, ოჯახის, სოფლის ჩირქისმომცხები — ასე იცნობენ მას. 1949 წელს იგი სახალხო

[illegible]

იონის სახალხო სასამართლომ. აქაც რვა წლის პატიმრობა მიუსაჯეს...

მაგრამ აქედან საჭირო დასკვნები მას არ გამოუტანია.

სწავლაც და შრომაც სძულდა ვლადიმერ სტეფანეს-ძე ეგოროვს. მუქთახორობაში სურდა გაეტარებინა თავისი ცხოვრება. ჯერ კიდევ 1944 წელს ქალაქ ალმა-ატის მეორე უბნის სახალხო სასამართლომ ქურდობისათვის მას ერთი წლის პატიმრობა მიუსაჯა. ციხიდან გამოსვლის დღესვე ახალი დანაშაულისათვის დააკავეს. მალე უმძიმესი დანაშაული ჩაიდინა, უდანაშაულო ადამიანი მოკლა, რისთვისაც სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა მიესაჯა, რაც ხანგრძლივი პატიმრობით შეუცვალეს; შემდეგ ბანდიტიზმისათვის კვლავ ციხეშია. საერთო ანგარიშით ორმოცდასამი წლის ეგოროვს თავის ხნოვანებაზე მეტი პატიმრობა აქვს მისჯილი. ამას ისიც უნდა მივუმატოთ, რომ იგი მუდმივად არსად არ ცხოვრობდა და არც საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას ეწეოდა.

ბენია ვლადიმერის-ძე როხვაძე ვანის რაიონის სოფელ ძულუხიდან არის. ისიც სხვადასხვა დანაშაულისათვის რამდენჯერმე იყო სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

მრავალჯერ არის ნამყოფი პასუხისგებაში დამნაშავე ნიკოლოზ თომას-ძე ჯანგავაძეც.

ეს ავისმქმნელები, გარეწრები აქა-იქ სარეველა ბალახის ძუგავსად შემორჩენიან ჩვენს ცხოვრებას. ისინი არცხვენენ ალალი შრომის ადამიანებს, ოჯახებს, მეზობლებს, ქვეყანას.

და აი გარეწრები საბჭოთა მართლმსაჯულების წინაშე წარსდგნენ. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ი. გოგაშვილის თავმჯდომარეობით და რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწის ა. თადუმაძის მონაწილეობით ბოროტმოქმედებს გ. ვ. ჟორჟოლიანს, შ. ვ. ნიჟარაძეს, ვ. ს. ეგოროვს, ბ. ვ. როხვაძეს უმაღლესი ზომა — სიკვდილით დასჯა მიუსაჯა. ნ. თ. ჯანგავაძეს ათი წლით პატიმრობა მიესაჯა მკაცრი რეჟიმით.

დამნაშავეებს შეეფარდათ მათი წილი ქონების კონფისკაცია.

ასეთია ხალხის განაჩენი.

• • •

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა უარყო აღნიშნულ მსჯავრდადებულთა შუამდგომლობა პატიების შესახებ.

განაჩენი სისრულეშია მოყვანილი.

ა. გოცირიძე.

მოსკოვის საციგურაოზე

წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატი ჩქაროსნულ ციგურაობაში ვაჟთათვის შედგა მოსკოვში „ლოკომოტივის“ სტადიონზე. სტარტზე გამოვიდა 39 სპორტსმენი.

უკეთესი დრო — 500 მეტრზე 41,9 წამი — აჩვენა ბ. გულიაევმა და ჩემპიონობაც მას მიეკუთვნა. 5.000 მეტრზე რბენაში წარმატება ხვდა ვ. ლავრუშკინს. გუშინ გაიმართა შეჯიბრება 1.500 და 10.000 მეტრზე რბენაში.

მსოფლიო ჩემპიონატის წინ

ლენინგრადის სპორტის სასახლეში გამართული საკავშირო პირველობა ფიგურულ ციგურაობაში არა მარტო ოქროს მედლების მაძიებელთა პაექრობა იყო, არამედ ძალთა უკანასკნელი მოსინჯვა და მსოფლიო ჩემპიონატისათვის კანდიდატების შერჩევა. წლევანდელი მსოფლიოს პირველობა გაიმართება ამერიკის შეერთებული შტატების „კოლორადო სპრინგსის“ მაღალი მთის საციგურაოზე თებერვალში.

წყვილთა ციგურაობაში გამოვლენ თ. მოსკვინა და ა. მიშინი, ლ. ბელოუსოვა და ო. პროტოპოპოვი, ი. როდნინა და ა. ულანოვი.

ლენინგრადში ქალთა ერთეულების ასპარეზობაში უძლიერესი იყო ე. შჩეგლოვა. მან თვალსაჩინოდ გაუსწრო მეორე ადგილზე გამოსულ გ. გრჟიბოვსკაიას. საინტერესო გამოდგა შეჯიბრება ცეკვებში. აქ უძლიერესი იყვნენ ლ. პახომოვა და ა. გორშკოვი.

თქვენთვის, ცნობისმოყვარენო!

რქები — რადიატორი

რისთვის სჭირდებათ რქები ცხვრებს, ირმებს, ხარებს და სხვა წყვილჩლიქიანებს? სილამაზისათვის? — მართლაც. მრისხანე იარაღად? — ესეც მართალია.

მაგრამ მარტო ეს კი არა. რქები მდიდარია სისხლძარღვებით. და აი როცა ცხელა, სისხლის მოწოლა დიდდება და სისხლძარღვები ჭარბ სითბოს ჰაერს ატანენ, ხოლო როცა ცივა, სისხლძარღვები იკუმშებიან და ინარჩუნებენ ძვირფას კალორიებს.

სსრ კავშირი წიგნის უდიდესი სახელმწიფოა

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენს ქვეყანაში გამოშვებულია თითქმის 2 მილიონი წიგნი და ბროშურა 30 მილიარდზედ მეტი ცალი ტირაჟით.

სსრ კავშირში გამოდის მთელ მსოფლიოში გამომავალი წიგნის პროდუქციის ერთი მეოთხედი გამოცემათა რიცხვის მიხედვით.

ჩვენში ყოველწლიურად გამოდის 1 მილიარდზე მეტი ცალი წიგნი. ყოველ წუთს სასტამბო მანქანებიდან ჩამოდის 2400 ცალი წიგნი, - საშუალოდ 3,5 მილიონი ეგზემპლარი დღეში.

რომელი სამამულო მეცნიერის შრომები რამდენჯერ და რა ტირაჟით გამოიცა

ი. პ. პავლოვისა 110-ჯერ 1,4 მლნ ც.

ი. ვ. მიჩურინისა 103-ჯერ 2,7 მლნ ც.

კ. ე. ციოლკოვსკისა 84-ჯერ 1,2 მლნ ც.

ს. ი. ვავილოვისა 64-ჯერ 1,7 მლნ ც.

ლ. დ. ლანდაუსი 41-ჯერ 1 მლნ ც.

რომელი მწერლის ნაწარმოებები რამდენჯერ და რა ტირაჟით გამოიცა?

ა. პუშკინისა 2177-ჯერ 114,1 მლნ ც.

ლ. ტოლსტოისა 2095-ჯერ 122,4 მლნ ც.

ვ. მაიაკოვსკისა 823-ჯერ 53,3 მლნ ც.

მ. შოლოხოვისა 713-ჯერ 44,7 მლნ ც.

ტ. შევჩენკოსი 516-ჯერ 14,9 მლნ ც.

ი. კუპალასი 144-ჯერ 4,2 მლნ ც.

ნიზამი განჯევისა — 106-ჯერ 1,2 მლნ ც.

შ. რუსთაველისა 101-ჯერ 1,8 მლნ ც.

ა. ნავოისა 101-ჯერ 1,1 მლნ ც.

განსაკუთრებით ხშირად იცემა საზღვარგარეთელ კლასიკოს მწერალთა ნაწარმოებები. გამოიცა, მაგალითად, ნაწარმოებები უ. შექსპირისა — 316-ჯერ 5,8 მლნ ც. 28 ენაზე; მ. ტვენისა — 314-ჯერ 16,3 მლნ ც. 28 ენაზე; ო. ბალზაკისა — 283-ჯერ 22,6 მლნ ც. ტირაჟით 18 ენაზე; ფ. შილერისა — 136-ჯერ 2,2 მლნ ც. 19 ენაზე, ი. ბაშეკისა — 106-ჯერ 6,4 მლნ ც. 17 ენაზე; ა. მიცკევიჩისა — 68-ჯერ, 1,4 მლნ ც. 12 ენაზე.

იცით თუ არა თქვენ, რომ...

☐ ზღვის შავ დრაკონს მანათობელი კბილები აქვს?

☐ კვერცხიდან ახლად გამოჩეკილი ნიანგი სამჯერ დიდია, ვიდრე თვით კვერცხი?

☐ ასო „იგრეკი“ გამოიგონა ტროას ომის გმირმა პალამედესმა, რომელმაც გადმოიღო მფრინავ წეროთა გუნდის ფორმა.

☐ კენგურუ ვერ იხტუნებს, თუ კუდი მიწიდან აწეული აქვს?

☐ ძველი რომაელები — ხმალთევზაზე მონადირენი — გადიოდნენ ზღვაში ნავით, რომელიც გაკეთებული იყო ამ თევზის ფორმით. მსხვერპლი იქვე მიცურდებოდა ხოლმე თავის „თანამოძმესთან“ და ისღა იყო საჭირო, რომ მახვილი ჩაეცათ მისთვის.

იყიდება ოფლი

ასეთი „საქონელი“ არასოდეს არ ყოფილა ჩანიშნული პრეისკურანტებში; ამიტომაც ამერიკელმა მეცნიერებმა, რომლებსაც დასჭირდათ ადამიანის ოფლი სხვადასხვა გამოკვლევებისათვის (უმთავრესად, კოსმოსში დიდხანს ყოფნისას სიცოცხლის პირობების შესასწავლად), არ იცოდნენ რამდენი უნდა გადაეხადათ მასში. იმის გათვალისწინებით, რომ ეს „პროდუქტი“ მხოლოდ წვეთ-წვეთობით შეიძლება მოპოვებულ იქნას, მასზე დააწესეს განსაკუთრებით მაღალი ფასი — 1.600 დოლარი ლიტრში.

ავი ძაღლიც კი გარბის...

მიისხურეთ ცოტა რეპელენტის ხსნარი, ნივთიერება, რომელსაც დამაფრთხობელი სუნი აქვს, და თქვენ გაბედულად მარტოკას შეგიძლიათ წახვიდეთ ყველაზე ავი ძაღლების ხროვის პირისპირ. როგორც კი მიუახლოვდებით, ისინი მაშინვე მოკურცხლავენ.

რატომ? ძაღლებს პანიკური შიში ეუფლებათ, როგორც კი ეცემათ ამ ნივთიერების სუნი და გარბიან კუდამოძუებულნი. ახალი რეპელენტის სუნისა ეშინიათ აგრეთვე კატებს.

შეიძლება თუ არა ცის გახვრეტა?

თურმე შესაძლებელი ყოფილა. ყოველი რაკეტა, რომელიც კოსმოსში გადის, დედამიწის იონოსფეროში ტოვებს საკმაოდ დიდი ზომის „ნახვრეტს“. იონოსფერო — ფენა, რომელიც ელექტრონულად დატენილი ნაწილაკებისაგან შედგება — მეტად მნიშვნელოვანია. იგი იცავს დედამიწის ზედაპირს კოსმოსის კორპუსკულარული გამოსხივებისაგან. ამიტომაც ამერიკელი გეოფიზიკოსები ჯ. ფელკერი და უ. რობერტსი დაინტერესდნენ რაკეტებისაგან შექმნილი „ნახვრეტებით“. საშიში არიან თუ არა ისინი?

გამოირკვა, რომ „სარკმელი“ პლანეტის იონის ქურქში წარმოიქმნება იმ გავარვარებული გაზების დამრტყმელი ტალღების მოქმედებისაგან, რომლებიც ამოხეთქავენ ხოლმე რაკეტის ძრავებიდან, და არ იკვრება გაფრენიდან ერთი საათის განმავლობაში. იონოსფეროს ელექტრონული სიმკვრივე ამ დროს ორსამჯერ მცირდება. ეს ცოტა როდია, მაგრამ საშიში არ არის.

აღიძვრება ამ „ნახვრეტებთან“ დაკავშირებული აგრეთვე სხვა პრობლემებიც. ისინი კიდევ შესასწავლია. მაგალითად, რა გავლენას ახდენენ ისინი რადიოტალღების გავრცელებაზე? აქ შესაძლოა მკვლევარებს სიურპრიზები მოელოდეთ.

8 თვე მარტო წყლით

რამდენი ხანი შეუძლია ადამიანს უჭმელად იცოცხლოს? — ერთი კვირა, ორი? არა, სცდებით — 249 დღე წყლითა და ვიტამინებით!

ასე კურნავს სიმსუქნისაგან ადამიანს შოტლანდიელი ექიმი ტომსონი. 18 კაცისაგან შემდგარი ჯგუფი შიმშილობდა 25-დან 249 დღემდე. ყველაზე შეუპოვარმა 44 კილოგრამი ქონი დაიკლო. საშუალოდ კი 80 დღეში ისინი იკლებდნენ 11-11 კილოგრამს.

რა ვნახოთ. რა მოვისმინოთ

ტელევიზია

12 იანვარი

09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია მხაზველობით გეომეტრიაში, 10.30 — სკოლამდელთათვის — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 10.40 — მხატვრული ფილმი ბავშვებისათვის „შფოთიანი დღე“. 12.00 — საახალწლო სანახაობა — ტრანსლაცია თბილისის სახელმწიფო ცირკიდან, 15.00 — სატელევიზო მრავალსერიიანი დოკუმენტური ფილმი „ნახევარი საუკუნის მატიანე“ — 1932 წელი (ქართულ ენაზე), 16.00 — „კინოაფიშა“, 16.30 — კინონარკვევი, 16.50 — ბათუმის პიონერთა პარკის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „გაზაფხულის“ კონცერტი, 17.30 — ციკლიდან „კანონი და კანონიერება“, 18.00 — „მხიარული ეკრანი“, 18.30 — გადაცემა „საბჭოთა არმიის მეომრებისათვის: „მუდამ წინახაზზე“, 19.30 — მუსიკალური ფილმი „სურათები გამოფენიდან“, 20.00 — საბჭოთა კავშირის პირველობა კალათბურთში — „დინამო“ თბილისი — „ლოკომოტივი“ ალმა-ატა, 21.30 — ვისაუბროთ ქართულ ტელეფილმზე, 22.45 — საკვირაო გასართობი პროგრამა, 23.15 — შვიდი დღე — საერთაშორისო პროგრამა.

რადიო

13 იანვარი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — დილის კონცერტი, 08.10 — საბჭოთა კავშირის ხალხთა სიმღერები და საცეკვაოები, 09.25 — მ მშველიძე. სიმფონიური პოემა „მინდია“, 11.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 11.05 — გუნო. ნაწყვეტები ოპერა „რომეო და ჯულიეტადან“, 11.45 — მსუბუქი მუსიკა, 12.10 — ციკლიდან. „ეკონომიური რეფორმის საკითხები“. საუბარი — „ქარხნის მთავარი ეკონომისტი“, 12.25 — იპოლიტოვ-ივანოვი. კამერული ნაწარმოებები, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 13.40 — ს. მირიანაშვილი. სიმღერები, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მოსწავლეთათვის რადიოდადგმა „ბურატინოს თავგადასავალი“ (ნაწილი მეორე), 18.10 — ქართული ხალხური სიმღერები, 18.30 — რესპუბლიკური ცნობები რუსულ ენაზე, 18.45 — ალიაბიევი, საცეკვაო სიუიტა, 19.00 — საუბარი — „ნეონაციზმი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ფესვები, იდეოლოგია, პროგრამა“, 19.15 — მღერის თ. მიანსაროვა, 19.45 — ს. ცინცაძე. საკვარტეტო პიესები, 20.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 20.20 — „ამერიკის უგვირგვინო მეფეები“ (მოსკოვი), 20.35 — მოცარტი. კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის ლა-მაჟორი. სოლისტი ი. მენუხინი, 21.00 — „ძილისპირული“, 21.15 — მიხეილ დუდინი ჩვენს სტუდიაში, 21.45 — საერთაშორისო დღიური (მოსკოვი), 22.00 — თ. გომელაურისა და ა. კანკიას კონცერტი, 22.50 — ბ. კრამიშევი. საცეკვაო სიუიტა, 23.30 — ზ. ფალიაშვილი. ნაწყვეტები ოპერა „აბესალომ და ეთერიდან“, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

თეატრები

12 იანვარი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ყვავილთა სამყაროში (დღისით), ჟიზელი (საღამოს), **რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — დენბურგის ზარი (დღისით), მზიანი ღამე (საღამოს), **რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი** — ჰინჭრაქა (დღისით), **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — სიყვარული სახუმარო არ არის (დღისით და საღამოს), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — ბაბაჯანას ქოშები (დღისით), ჩანიტას კოცნა (საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — შვიდფერა ყვავილი (№ 16 აბონ. დღის 11 ს. და 30 წ., № 56 აბონ. დღის 5 ს.), **თოჯინების ქართული** — ოქროს სალამური (დღის 12 ს.).

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

თბილისი. ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ. მდივნის — 99-72-80, ხამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, განცხადებების — 93-93-96.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443

უა 03918

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.